პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 197 (20288) ✦ პარასკევი, 26 აგვისტო, 1988 წელი. ✦ ფასი 3 კაპ.

დიდი პედსაბჭო არატრადიციულად

კიდევ რამდენიმე დღე და სექტემბრის ზარი ახალი სასწავლო წლის დაწყებას გვაუწყებს. ეს დრო განუმეორებელია. მას მუდამ მღელვარებით ელიან მოსწავლეები, სახალხო განათლების მუშაკები, მთელი საზოგადოებრიობა.

ახალი სასწავლო წელი განსაკუთრებით პასუხსაგებია: სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1988 წლის თებერვლის პლენუმმა და XIX საკავშირო პარტიულმა კონფერენციამ განსაკუთრებული სიცხადით დაამკვიდრეს მთელი ჩვენი საზოგადოებრიობის აზროვნებაში, რომ სოციალიზმის ბედი ხალხის ხელშია და ახალგაზრდა თაობის ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული მომზადების დონეზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყნის მომავალი. ამ მეტად მნიშვნელოვანი ამოცანის განხორციელებისათვის დაისახა საშუალო, პროფესიული და უმაღლესი სკოლის გარდაქმნის გზები, სწორედ ამის შედეგია სამი მონათესავე სისტემის — გაერთიანება, რაც ხელს შეუწყობს სწავლებისა და აღზრდის საქმის რევოლუციური გარდაქმნის დაჩქარებას.

წლევანდელი 1 სექტემბერი იმითაც გამოირჩევა, რომ პირველი მეცადინეობები რესპუბლიკის ყველა სასწავლო დაწესებულებაში მიეძღვნება სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მოხსენების „სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის მიმდინარეობა და გარდაქმნის გაღრმავების ამოცანების“ და XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის მასალებისა და გადაწყვეტილებების შესწავლას.

მანამდე კი, პირველი ზარის აწკრიალებამდე დარჩენილ დღეებში რესპუბლიკის სახალხო განათლების მუშაკებს დიდი პედსაბჭო აქვთ. გუშინ, 25 აგვისტოს დაიწყო აგვისტოს ტრადიციული კონფერენციები, რომლებიც წლეულს არატრადიციულად ყოველგვარი პარადულობის გარეშე წარიმართება. განათლების მუშაკთა ამ თავყრილობაზე მოხსენებით არავინ გამოვა. სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეების მთელი გასული სასწავლო წლის ანგარიში წინასწარ დაეგზავნათ შესაბამისი რაიონებისა თუ ქალაქების, სკოლების პედკოლექტივებს. იმათ კი თავიანთ პედსაბჭოებზე, საჯაროობის ვითარებაში განიხილეს ეს მოხსენებანი. რაიონულ, საქალაქო მასწავლებელთა თათბირებზე კი, სადაც, გასაქანი მიეცემა ახალი, ცოცხალი იდეებისა და აზრების დაბადებას, ყველას ექნება საშუალება თავისი მოსაზრება გამოთქვას. ოღონდაც იმ შეგნებით, რომ დემოკრატიის, სიტყვის თავისუფლების კერძო, პირადი ინტერესებისათვის დაქვემდებარება საქვეყნო საქმეს წაახდენს. აღირიცხება. დარბაზში გამოთქმული ყოველი შენიშვნა, წინადადება, თუ რეპლიკა და მოხდება მისი განხილვა-ანალიზი, თათბირების მონაწილეთა სოციოლოგიური გამოკითხვა კი ხელს შეუწყობს მიზანმიმართული კოლექტიური აზრის ჩამოყალიბებას.

აგვისტოს თათბირებზე განათლების დარგის მუშაკებთან ერთად წლეულს პირველად იქნებიან უფროსკლასელები და სტუდენტები. ისინი უფრო სხვაგვარად, სხვა თვალით ხედავენ, აღიქვამენ ამა თუ იმ ფაქტსა და მოვლენას. ისინი უფრო უშუალონი არიან, ხშირად ობიექტურად და ხალად განსჯიან კიდეც. თავისთავად საინტერესო იქნება ღვაწლმოსილი პენსიონერი პედაგოგების აზრი, რომლებმაც მთელი თავიანთი შეგნებული ცხოვრება სწავლა-აღზრდის პასუხსაგებ საქმეს მოახმარეს. ბევრმა მათგანმა ხომ თავისით დაუთმო გზა ახალბედა პედაგოგებს, მშობლიურად დამოძღვრა და გზაც დაულოცა...

თაობათა ცვლას უმეტესად გარკვეული გულისტკივილი ახლავს თან. მასწავლებელთა მოღვაწეობა უაღრესად შრომატევადია, ამას გარდა, დიდ სულიერ და ფსიქოლოგიურ დაძაბვას მოითხოვს და, ვისაც კი თაობათა ცვლის, ამ უაღრესად რთულ პროცესში პასუხსაგები როლი აკისრია, უდიდესი ტაქტითა და ობიექტურობით უნდა განსაჯოს და გადაწყვიტოს ეს საქმე. ვეტერანი სკოლიდან გულნაკლული არ უნდა წავიდეს. დასანანია, რომ ზოგან ასე არ იქცევიან. ესეც სიახლეა: პენსიაზე გასულს საჯაროდ, პატივისცემით აცილებენ, ახალბედას კი საგანგებოდ ხვდებიან, ახალი მასწავლებლის მოსვლა სკოლაში ზეიმით უნდა აღინიშნოს. მანამდე კი ახალბედებისთვისაც პირველი პედსაბჭო ეს თათბირები იქნება. აგვისტოს თათბირებზე გამოიკვეთება სხვადასხვა თაობის აზრი, რომელთა შერწყმა კვლავ და კვლავ ერთი მთავარი მიზნის — სწავლა-აღზრდის შემდგომი სრულყოფისაკენ იქნება მიმართული.

ამჟამად ჩვენი რესპუბლიკის სახალხო განათლების სამინისტროს 6000-მდე ობიექტი აქვს. მათ შორის: 19 უმაღლესი, 26 საშუალო-სპეციალური, 175 პროფტექნიკური სასწავლებელი, 1818 საშუალო, 856 არასრული საშუალო, 1585 სკოლამდელთა დაწესებულება და სხვა.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში თვისებრივად შეიცვალა და გაუმჯობესდა სასწავლო გეგმები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ჰუმანიტარიზაციას, რესპუბლიკის მთელ რიგ სკოლებში დაინერგა პედაგოგიური და მეცნიერული თვალსაზრისით დასაბუთებული ექსპერიმენტები, რომელთაც უნდა განსაზღვრონ სასწავლო და შემეცნებითი მუშაობის უახლოესი პერსპექტივები, კვლავ გასაქანი მიეცემა ადრე უსაფუძვლოდ უარყოფილ პროფესიული სწავლების ექსპერიმენტს, რომელიც მოსწავლეთა ინტერესებსა და მიდრეკილებებს ემყარება და სხვა.

დემოკრატიზაციის ზეგავლენა სკოლის ცხოვრებაშიც იგრძნობა. ჩვეულებრივ ამბად იქცა სკოლის დირექტორის არჩევნები, მასწავლებელთა კონკურსები.

სიახლეა სახალხო განათლების სისტემაში სასწავლო პროცესის სრულყოფისათვის მთავარი სპეციალისტის ინსტიტუტის შექმნაც. რაიონებსა და ქალაქებში არჩევნების შედეგად მეთოდიკურ სამსახურებს საგნებისა და დარგების მიხედვით სათავეში ჩაუდგნენ საუკეთესო სპეციალისტები.

სწავლებისა და აღზრდის ორგანიზაციის სრულყოფისათვის დემოკრატიული არჩევნების გზით, განათლების სასკოლო და რაიონული (საქალაქო) საბჭოები შეიქმნება.

განყოფილებათა გამგეებს დაურიგდათ სიახლეებთან დაკავშირებით შესაბამისი დოკუმენტები: პროექტები, დებულებები, სამახსოვროები, ქვეყნდება დებულებების პროექტები, სკოლის კონცეფცია, დებულება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის, პროფტექნიკური სასწავლებლების შესახებ. ამ დღეებში დაიბეჭდება დებულებები ტექნიკუმებისა და უმაღლესი სასწავლებლების შესახებაც. თითქმის ყველგან, ადგილებზეც მიავლინეს სამინისტროს თანამშრომლები. ასეა, — სიახლეს განსაკუთრებული პასუხისმგებლობით, სიფრთხილით ეკიდებიან, სწორიცაა, პირველი ნაბიჯი განსაკუთრებით უნდა მოიზომოს, რომ შემდგომი გზა გაადვილდეს.

ახალ სასწავლო წელს 1400-მდე ახალგაზრდა მასწავლებელი შეუერთდება რესპუბლიკის მოძღვართა მრავალათასიან კოლექტივს, ზოგი მაღალმთიან სოფლებს მიაშურებს. ახალბედებისა და მათი კოლეგების კარგი მუშაობა ბევრად იქნება დამოკიდებული ჩვენს პროფკავშირულ თუ ხელისუფლების ადგილობრივ ორგანიზაციებზე.

ახალი სასწავლო წლიდან თბილისის სკოლებსა და სკოლამდელთა დაწესებულებებში შეიქმნება უცხო ენების შემსწავლელი სამეურნეოანგარიშიანი წრეები, სადაც მხოლოდ უმაღლესი სასწავლებლების 1988 წლის კურსდამთავრებულები იმუშავებენ.

რესპუბლიკის სახალხო განათლების სისტემაში მიმდინარე სასიკეთო გარდაქმნებს პრობლემაც ბევრი დაერთო, რომლებიც დროულ გადაწყვეტას საჭიროებს. კერძოდ, რეფორმის „ძირითადი მიმართულებები“ ნაჩქარევად, რეალურ შესაძლებლობათა გაუთვალისწინებლად შეიქმნა, რასაც სკოლისაგან საზოგადოების გამიჯვნა მოჰყვა და რეფორმის ბუქსაობის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი გახდა.

სკოლა საზოგადოების სარკეა, იგი საზოგადოებრიობის ყველა სახელმწიფოებრივი ორგანიზაციისა და ინსტანციის ყურადღებით უნდა იყოს გარემოსილი. კიდევ უფრო უნდა განმტკიცდეს მეტად მნიშვნელოვანი — სკოლისა და ოჯახის კავშირი, ურომლისოდაც წარმოუდგენელია ჩვენი ქვეყნის ღირსეული მოქალაქის აღზრდა.

მასწავლებელთა დიდი ბჭობა 31 აგვისტომდე გასტანს. მასზე ხაზგასმით აღინიშნება, რომ ჩვენმა სკოლამ ხალისით უნდა გაუღოს კარი ყოველივე ახალს, პროგრესულს, მხარი დაუჭიროს ნოვატორ, შემოქმედ პედაგოგებს ახლის ძიებასა და დამკვიდრებაში. მხოლოდ ამ გზით მიაღწევს წარმატებას ჩვენი სკოლა, მხოლოდ ასე მოძებნის თავის ადგილს იმ რევოლუციურ გარდაქმნაში, რომლის სულისკვეთებით ცხოვრობს დღეს მთელი ჩვენი საზოგადოებრიობა.

დაე, დიდი პედაგოგიური საბჭო გახდეს სკოლის წინაშე პარტიის მიერ დასახული ამოცანების გადაწყვეტისათვის, სასკოლო რეფორმის წარმატებით განხორციელებისათვის ბრძოლის მაღალი ტრიბუნა.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა „მეცხოველეთა დიდნაყოფიერი შრომის, მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებისა და შესყიდვის გადიდების პირობების შექმნისათვის სარატოვის ოლქის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ორგანიზატორული მუშაობის“ საკითხი.

მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სარატოვის ოლქის პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა, რომლებიც ასრულებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის გადაწყვეტილებებს სურსათის წარმოების გადიდების შესახებ, გააძლიერეს ყურადღება მეცხოველეობის განვითარებისადმი უწინარეს ყოვლისა იმ გზით, რომ საჭირო პირობები შექმნან ამ დარგის მუშაკთა დიდნაყოფიერი შრომისათვის. ხორციელდება ახალი ეკონომიკური ურთიერთობის, სამეურნეო ანგარიშის, კოლექტიური და ოჯახური იჯარის, ნარდად მუშაობის ათვისების პრაქტიკული ღონისძიებანი. სრულდება სოფლის სოციალური გარდაქმნის მიზნობრივი პროგრამა. მიმდინარე ხუთწლედში გამოიყო 25 პროცენტით მეტი კაპიტალური დაბანდებანი აგროსამრეწველო კომპლექსის არასაწარმოო სფეროში. გაიზარდა სამშენებლო ინდუსტრიისა და ადგილობრივი საშენი მასალების მრეწველობის სიმძლავრენი.

ამის შედეგად მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა ბინების, სკოლების, სკოლამდელთა დაწესებულებების მშენებლობის გეგმები, გაუმჯობესდა საწარმოო ყოფა. მსხვილ ფერმებსა და კომპლექსებში საექსპლოატაციოდ გადაეცა მეცხოველეთა ათასზე მეტი სახლი, რომლებიც გახდნენ ადამიანებთან ორგანიზატორული და აღმზრდელობითი მუშაობის ცენტრები. აქ მიმდინარეობს კადრების პროფესიული და ეკონომიკური სწავლება, მოგვარებულია ფერმების მუშაკთა სამედიცინო, სავაჭრო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურება.

მეცხოველეთა შორის ორგანიზატორული მუშაობის გაძლიერება, მათი შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის ზრუნვის გამოვლინება დადებით გავლენას ახდენს დარგის განვითარებაზე. შესამჩნევად გაიზარდა ხორცისა და რძის საშუალო წლიური წარმოება, სრულდება ცენტრალიზებულ ფონდებში ამ პროდუქტების მიწოდების სახელმწიფო გეგმები. სარატოვსა და ოლქის მსხვილ სამრეწველო ცენტრებში სახელმწიფო ფასებით იყიდება ღორის ხორცი, ფრინველი, კვერცხი, რძის პროდუქტები. გაუმჯობესდა ხორცის პროდუქტების კოოპერაციული ვაჭრობა. გაიზარდა მათი მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე.

ამავე დროს, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ ოლქში წარმოებული მუშაობა და მიღწეული შედეგები ვერ ჩაითვლება საკმარისად. აქ შექმნილი მძლავრი საწარმოო-ეკონომიკური პოტენციალი მთლიანად როდია ამოქმედებული. კვლავ მცირეა პირუტყვისა და ფრინველის პროდუქტიულობა.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მნიშვნელოვანი ნაწილი ვერ უზრუნველყოფს პროდუქციის წარმოების დასახულ ზრდას. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ბევრმა მათგანმა ვერ შეასრულა სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის სახელშეკრულებო ვალდებულებანი.

ჩამორჩენის მთავარი მიზეზი ის არის, რომ ჯერ კიდევ ყველგან არ შეუქმნიათ მეცხოველეთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების საჭირო პირობები. მთელი რიგი პარტიული კომიტეტები, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები ჯეროვნად არ აფასებენ იმას, თუ რა მნიშვნელობა აქვს მუშაობას მეცხოველეთა კოლექტივებთან მეურნეობრიობის, კოლექტიური, სანარდო იჯარის რაციონალური ფორმების ათვისებისათვის. ბევრი ხელმძღვანელი და სპეციალისტი აბრკოლებს შრომის ორგანიზაციის საიჯარო ფორმებზე მეცხოველეთა და იმათ გადასვლას, ვინც მათ ემსახურება.

მეცხოველეობაში ნელა ინერგება ინტენსიური ტექნოლოგიები, შრომის ორგანიზაციის პროგრესული ფორმები, კვლავ დიდია ხელის სამუშაოთა წილი.

ბევრი ფერმა ოლქში უზრუნველყოფილი არ არის მაღალხარისხოვანი საკვებით. ნელა იზრდება საკვები კულტურების მოსავლიანობა, მათ შორის სარწყავ მიწებზე, საკმარისი ტემპით არ წარმოებს ბუნებრივი სათიბებისა და საძოვრების გაუმჯობესება. მეურნეობებში პრაქტიკულად არ არის თივის საცავები, დაბალია საკვების ხარისხი. არ გადაწყვეტილა საკვების გადამუშავების საკითხები.

პროდუქციის წარმოების გადიდებისათვის მთლიანად ვერ იყენებენ მეცხოველეობის კომპლექსების სიმძლავრეებს, აგრეთვე სამრეწველო საწარმოთა და ორგანიზაციათა, დამხმარე სოფლის მეურნეობების, მოქალაქეების პირად მეურნეობათა შესაძლებლობებს. ცოტას ყიდიან მოსახლეობაზე პირუტყვისა და ფრინველის მოზარდეულს.

ყველგან სათანადოდ ვერ ზრუნავენ, რათა მეცხოველეებს შეუქმნან ჯეროვანი პირობები ზამთრის პერიოდში მუშაობისათვის. ოლქის ბევრ რაიონში გაუმართლებლად აყოვნებენ საზამთროდ ფერმების მომზადებას. ჭიანურდება შენობების, საკვები საამქროების, ტექნოლოგიური მოწყობილობის, ენერგო და წყალმომარაგების სისტემების რემონტი. ბევრი მეურნეობა გამოზამთრებას ისე იწყებს, რომ რიგიანად არ არის უზრუნველყოფილი საკვებით.

გარდაქმნის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს მეცხოველეთა კადრებთან ბევრი პარტიული კომიტეტის პოლიტიკური მუშაობა. მას აკლია საჯაროობა, ყველგან არ იყენებენ მართვის დემოკრატიულ მეთოდებს. მუშაკთა მნიშვნელოვანი ნაწილი არ მონაწილეობს წარმოების მართვაში, მთელ რიგ ფერმებში არ ეწყობა „მეცხოველეთა დღეები“, არ არის შრომითი კოლექტივების საბჭოები. საკონკურსო საფუძველზე არჩეულია ფერმების ბრიგადირებისა და მმართველების ათ პროცენტზე ნაკლები. სუსტად ხორციელდება სოციალისტური შეჯიბრების, მუშაკთა ეკონომიკური სწავლებისა და პროფესიული მომზადების შესაძლებლობანი. მხოლოდ ყოველი მესამე მეცხოველეა ატესტებული პირველი კლასით. დარგის მშრომელთა შორის მცირდება პარტიული ფენა, იკლო პარტიული ჯგუფების რიცხვმა ფერმებში, ცოტა კომუნისტსა და კომკავშირელს გზავნიან მეცხოველეობაში ზამთრის პეროდში სამუშაოდ.

პარტიული კომიტეტები, პირველადი პარტიული ორგანიზაციები საკმარისად არ ზრდიან იდეოლოგიურ აქტივის, სამეურნეო ხელმძღვანელთა და სპეციალისტთა, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ მუშაკთა პასუხისმგებლობას აღმზრდელობითი მუშაობისათვის, XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1988 წლის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა პროპაგანდისათვის [illegible] რია ფაქტი, როცა [illegible] დიან ფერმების შრომით კოლექტივებში, დროულად არ უწევენ მათ პრაქტიკულ დახმარებას გადაუდებელ საკითხთა გადაწყვეტაში.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა სკკპ სარატოვის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს, სახალხო დეპუტატთა საოლქო, საქალაქო და რაიონულ საბჭოებს, სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელებს რეკომენდაცია მისცა იხელმძღვანელონ XIX საკავშირო პარტიული კონფერენციისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1988 წლის ივლისის პლენუმის მოთხოვნებით ქვეყანაში სასურსათო საკითხის გადაწყვეტის შესახებ და მეცხოველეობის მუშაკთა მთელი მეცადინეობა მოახმარონ ხორცის, რძისა და სხვა პროდუქციის წარმოების ზრდის ტემპის დაჩქარებას, რათა არა მარტო განამტკიცონ, არამედ არსებითად გააუმჯობესონ კიდეც სურსათით მოსახლეობის მომარაგება, უზრუნველყონ მისი სტაბილური მიწოდება ცენტრალიზებულ ფონდებში. ამ მიზნით აქტიურად გამოიყენონ დარგის მუშაკთათვის დიდნაყოფიერი შრომის სათანადო პირობების შექმნის შეძენილი გამოცდილება. ფართოდ დანერგონ სამეურნეო ანგარიში, კოლექტიური და სანარდო იჯარა, თანამედროვე ტექნოლოგიები, კომპლექსური მექანიზაცია, მიაღწიონ ხელის შრომის შემცირებას. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ სოფლად შრომისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, როგორც სასურსათო პრობლემის წარმატებული გადაჭრის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს.

პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს წინადადება მიეცათ განახორციელონ მოყვანილი მოსავლის აღების ორგანიზებული დამთავრების, საკვების დამზადების ტემპის გაძლიერების, მთელი სოფლის მეურნეობის პროდუქციის დაცვისა და რაციონალური გამოყენების ღონისძიებანი.

გაზარდონ სოციალისტური შეჯიბრების როლი მეცხოველეთა, სპეციალისტთა და ხელმძღვანელთა დარაზმვაში პირუტყვის ორგანიზებული გამოზამთრებისათვის, მიღწეული დონის დამატებით მომავალ საზამთრო ბაგურ პერიოდში მეცხოველეობის პროდუქციის გადიდებისათვის, ამ მუშაობას მიანიჭონ მეტი საჯაროობა და შეჯიბრებითობა. გააუმჯობესონ მეცხოველეთა სამედიცინო, სავაჭრო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურება.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტებმა, პარტიის სამხარეო, საოლქო, საქალაქო, საოკრუგო და რაიონულმა კომიტეტებმა უნდა გასწიონ საჭირო ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, აგროსამრეწველო კომპლექსის, მისი მომსახურე დარგების სხვა საწარმოთა შრომითს კოლექტივებში, რათა უზრუნველყონ ზამთრისათვის ფერმების დროული მომზადება, ყველგან შექმნან მეცხოველეთა დიდნაყოფიერი შრომის კარგი პირობები. მოაწყონ კადრების ეკონომიკური და პროფესიული მომზადება, წარმოების, სამეურნეო ანგარიშის, სანარდო იჯარის ინტენსიური მეთოდების შესწავლა, რათა მიაღწიონ ხორცის, რძისა და სხვა პროდუქციის წარმოების მნიშვნელოვან გადიდებას ნაკლები დანახარჯებით და ამ საფუძველზე არსებითად გააუმჯობესონ სურსათით მოსახლეობის მომარაგება.

საშემოდგომო საზრუნავი

დიდ ავდარში მოუწიათ შრომა ამ სეზონში დასავლეთ საქართველოს სოფლის მშრომელებს: კოკისპირულმა წვიმებმა, წყალდიდობამ, ხანგრძლივმა სიცხემ მიწათმოქმედებსა და მეცხოველეებს დამატებითი სიძნელეები შეუქმნა. მაგრამ მიწათმოქმედებმა ავდარს დაუპირისპირეს დამკვრელური შრომა და დისციპლინა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების კარგი მოსავალიც მოიწიეს. ახლა მეურნეობათა წინაშე დგას ამოცანა მაღალ ორგანიზაციულ დონეზე დაამთავრონ მოსავლის აღება.

მომავალი ალოობისათვის მზადების მდგომარეობას გაეცნენ ამხანაგები ო. ე. ჩერქეზია და გ. დ. მგელაძე. ისინი იყვნენ ზუგდიდის, წალენჯიხის, ლანჩხუთისა და ვანის რაიონებში, ეწვივნენ მეურნეობებსა და საწარმოებს, გამოიკითხეს, თუ როგორ მიმდინარეობს აგროსამრეწველო კომპლექსის ობიექტების გადაყვანა მეურნეობრიობის ახალ მეთოდებზე, მუშაობის რა გამოცდილება შეიძინეს ადგილებზე კოოპერატივების მიერ შექმნილი ოჯახური და სანარდო იჯარის პირობებში.

რაიონებსა და მეურნეობებში მოგზაურობის შედეგები განაზოგადეს თათბირზე, რომელიც წყალტუბოში გაიმართა. თათბირში მონაწილეობდნენ რეგიონის პარტიის რაიკომების პირველი მდივნები, რაიაღმასკომების და რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების თავმჯდომარეები, მეურნეობათა ხელმძღვანელები და სპეციალისტები.

სამუშაოთა საშემოდგომო ციკლისათვის მზადების შესახებ თათბირზე ინფორმაციები გააკეთეს რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებათა თავმჯდომარეებმა.

თათბირზე გამოვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, რესპუბლიკის სახაგრომრეწვის თავმჯდომარე გ. დ. მგელაძე.

თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ო. ე. ჩერქეზიამ.

აღინიშნა, რომ დასავლეთ საქართველოს მშრომელები ყოველ ღონეს ხმარობენ სასურსათო პროგრამის შესრულებისათვის, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების გაზრდისათვის. მიღწეულია გარკვეული ძვრები პრაქტიკაში შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების პროგრესულ ფორმათა დანერგვის საქმეში. იქ, სადაც სწორად გაიგეს მეურნეობრიობის პროგრესულ მეთოდებზე გადასვლის არსი, სადაც რაციონალურად იყენებენ ადამიანებსა და ნედლეულის რესურსებს, ავდარშიც კი წარმატებებს მიაღწიეს დასახულ ამოცანათა რეალიზაციაში. მაგრამ რეგიონში არის რაიონები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, სადაც ძველებურად, უინიციატივოდ მუშაობენ. საქმისადმი ასეთმა მიდგომამ გავლენა მოახდინა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მიმდინარეობაზე, რომლებიც აქ საგრძნობლად ჩამორჩება შარშანდელ ტემპს.

ჩამორჩენამ, ხაზგასმით აღინიშნა თათბირზე, შეიძლება მეურნეობებში გამოიწვიოს მოსავლის დიდი დანაკარგები, სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადების გეგმების შეუსრულებლობა, ეს კი, ცხადია, გავლენას მოახდენს მთლიანად ეკონომიკაზე. აი, რატომ არის საჭირო ავამოქმედოთ მთელი რესურსები და შესაძლებლობანი სამუშაოთა ტემპის დაჩქარებისათვის, შემოდგომის ალოობის სანიმუშოდ, უდანაკარგოდ დამთავრებისათვის.

შეკრებილთა ყურადღება მიაპყრეს იმას, თუ რა მნიშვნელობა აქვს საკვებდამზადების ორგანიზებულ მოწყობას, სოფლად ეკონომიკური სტიმულირების ახალი ბერკეტების უფრო ეფექტიან გამოყენებას, ადგილობრივი პირობების შესაბამისად იჯარის სხვადასხვა ფორმის საყოველთაო გავრცელებას.

საჭიროა ჯეროვნად მოვამზადოთ სამუშაოდ ტრანსპორტი, მოსავლის გადაზიდვასთან, გადამუშავებასთან და შენახვასთან დაკავშირებული სხვა სამსახურები, მთელი მოწეული მოსავალი მივაწოდოთ მომხმარებელს, შევინახოთ ზამთრის პერიოდისათვის. ყველა ადგილობრივი ორგანოს ყურადღება მიპყრობილი უნდა იყოს რეგიონში აგროსამრეწველო კომპლექსის რიტმული ფუნქციონირებისადმი.

თათბირმა დასახა ნაკლოვანებათა აღმოფხვრის, მაღალ ორგანიზაციულ დონეზე შემოდგომის ალოობის დამთავრების კონკრეტული ღონისძიებანი.

(საქინფორმი).

იბრძვის პროდუქციის ხარისხისათვის

თბილისის ტრიკოტაჟის საწარმოო გაერთიანება „გლდანმა“ 1987 წლის იანვრიდან დაიწყო მუშაობა სამეურნეო ანგარიშის, თვითდაფინანსებისა და თვითანაზღაურების პირობებში. გაერთიანების კოლექტივმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო თავისი პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, ტრიკოტაჟის ნაწარმისა და ტილოების ახალი ასორტიმენტის შემუშავებისა და დანერგვის ვადების შემცირებას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას.

მაღალხარისხოვან პროდუქციას უშვებს XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის დელეგატი, მკერავი ზეინაბ ყურაშვილი.

სურათზე: მკერავი ზ. ყურაშვილი.

საქინფორმის ფოტო.

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

ქ. ფომვიხანი თბილისში

ლაოსის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე კეისონ ფომვიხანი, რომელიც საბჭოთა კავშირში დასასვენებლად იმყოფება სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწვევით, 25 აგვისტოს თბილისში ჩამოვიდა.

ეს მეორე ვიზიტია საქართველოში ამხანაგ ქ. ფომვიხანისა, რომელიც აქ იყო 1982 წელს. პროგრამის მიხედვით სტუმარი გაეცნობა რესპუბლიკაში გარდაქმნისა და სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის მიმდინარეობას, აგრომრეწვის საქმიანობას, სასურსათო პრობლემის გადაჭრას, სოფლის მეურნეობის დარგში მეცნიერული გამოკვლევების განვითარებას, დაათვალიერებს თბილისისა და მცხეთის ღირსშესანიშნაობებს.

▼▼

კრებული კოოპერაციის შესახებ

გამოვიდა კრებული „კ. მარქსი, ფ. ენგელსი, ვ. ი. ლენინი კოოპერაციის შესახებ“. წიგნი შეიცავს მარქსიზმ-ლენინიზმის ფუძემდებელთა ნაწარმოებებს და ნაწყვეტებს თხზულებებიდან, რომლებიც გამოხატავენ მათ შეხედულებას კოოპერაციაზე, როგორც ისტორიული განვითარების სხვადასხვა ხანაში შრომის და წარმოების ორგანიზაციის ფორმაზე, ახასიათებს მის როლს კაპიტალიზმის დროს და განსაკუთრებით სოციალისტური მშენებლობის პერიოდში.

კრებული გამოუშვა პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ.

მოსავალი-88

მეთორმეტე ხუთწლედის მესამე წლის მიჯნაზე ორჯონიკიძის, თერჯოლის და ზესტაფონის რაიონებში ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან მეცხრამეტე პარტიული კონფერენციის მიზანდასახულობათა პრაქტიკული განხორციელებისათვის. ამ რაიონებში წარმატებით სრულდება მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოზე მიყიდვის დავალებები, ერთწლიანი კულტურების დამუშავების აგროტექნიკური ღონისძიებები, მეცხოველეობის საკვები ბაზის შექმნის, ხილის დამზადებისა და სხვა გეგმები, შედეგი კიდევ უფრო თვალსაჩინო იქნებოდა, რომ ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებს საკმარისი ყურადღება და მონდომება გამოეჩინათ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის აღების დროს დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლის, მომჭირნეობისა და ყაირათიანობის პრინციპების დაცვაში.

ორჯონიკიძის რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში კურკოვანი ხილის ასეთი მოსავალი უკანასკნელი ექვსი წლის მანძილზე არ ყოფილა. რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების სამსახურმა, დამზადების გაერთიანებამ და კოლმეურნეობათა ხელმძღვანელობამ გარკვეული მუშაობა ჩაატარეს კურკოვანი ხილის კრეფისა და მისი ჩაბარების ორგანიზაციისათვის. გამოყვეს დამამზადებლები, ტრანსპორტი, მოამზადეს მიმღები პუნქტები, ტარა-მასალა, მოსახლეობაში გაწიეს სათანადო ახსნა-განმარტებითი მუშაობა, ნაცვლად გეგმიური 2157 ტონისა, დაამზადეს 2850 ტონა კურკოვანი ხილი. კვების ამ შესანიშნავი პროდუქტის რაოდენობა კიდევ უფრო მეტი იქნებოდა, რომ არ შეეწყვიტათ ხიდრის, ვარძიის, კიცხის, წყალაფორეთის, მაქათუბნის და სხვა კოლმეურნეობებში ხილის დამზადება. შეწყვეტის მიზეზად რაიონში გეგმის შესრულებას და საწვავის ნაკლებობას ასახელებენ, ამავე დროს ქუთაისის საკონსერვო ქარხანა რაიონს სისტემატურად უგვიანებს ტარა-მასალის უკან დაბრუნებას. ამ და სხვა მიზეზებით მოსახლეობას დაულპა და გადაყარეს ათეულობით ტონა ტყემალი.

ზესტაფონის რაიონში ნაცვლად გეგმიური 1745 ტონისა, გადასამუშავებელ საწარმოებს და საკავშირო ფონდით გათვალისწინებულ ქარხნებს მიაწოდეს 2666 ტონა კურკოვანი ხილი. აქაც გეგმის შესრულებისთანავე შეწყვიტეს კურკოვანი ხილის დამზადება. არის სხვა მიზეზებიც.

გარკვეული რაოდენობის პროდუქტი გაუფუჭდა სვირის სანერგე მეურნეობას, სვირის ლენინის და სტალინის სახელობის კოლმეურნეობების მშრომელებს. მეურნეობათა ხელმძღვანელები მათ დროულად არ აწვდიან ტრანსპორტს. სვირში მცხოვრებმა ა. კაპანაძე, გ. ჩიტორელიძე, შ. ვარდუკაძე, ი. ვარდუკაძე, მ. წაქაძე და სხვები ახლაც ელოდებიან დამმზადებლებს. მათი პროდუქტი კი ლპება. დამმზადებელი ნ. ცხადაძე კი დამზადების შეფერხების მიზეზად ბენზინის, ტრანსპორტისა და ტარა-მასალის ნაკლებობას ასახელებს.

აჯარიულ მდგომარეობაშია სვირის ლენინის სახელობის კოლმე- [illegible]

უძრაობას თავი ვერ დავაღწიეთ

● კურკოვანი ხილის დანაკარგები ● მიწაში ჩალპა 50 ტონა ხახვი ● კომბოსტოს ზარალი 200 ტონას აღემატება ● ნიავდება ჭირნახული

მაგრამ მდგომარეობა რაიონში კვლავ არასახარბიელოა, დიდია დანაკარგები და შეფერხებები. მაგალითად, **ჭოგნარის საბჭოთა მეურნეობაში 50 ტონა ხახვი ჩალპეს მიწაში. კვახჭირის საბჭოთა მეურნეობაში კი 200 ტონაზე მეტი კომბოსტო გაუფუჭდათ.**

ძალზე ცუდად არის ნავთობპროდუქტებით მომარაგების საქმე. უბენზინობით წლის დიდძალი მოსავალი იკარგება. ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს ვაგონების მიწოდება. რაიონის დასატვირთავ ბაქანზე შეკვეთილი სპეცვაგონების აბსოლუტური უმრავლესობა ორი-სამი დღის დაგვიანებით ჩამოაყენეს. კომბოსტოს წასაღებად გამოგზავნეს თევზიანი და ხორციანი ვაგონები, რომლებიც ექვემდებარებოდა პირველი კატეგორიის დამუშავებას. ეს ვაგონები დასამუშავებლად გაიგზავნა ფოთში. კომბოსტო ვაგონის მოლოდინში დალპა და სამჯერ იქნა გადარჩეული, ამის გამო 42 ტონა უკან წაიღეს კვახჭირში და შეიტანეს მეცხოველეობის ფერმაში. იყო შემთხვევა, როცა მოთხოვნილი 10 ვაგონის ნაცვლად თერჯოლაში 18-ვაგონიანი სექცია ჩამოაყენეს, სადაც გეგმიური 200 ტონის ნაცვლად, ჩაიტვირთა 385 ტონა კომბოსტო, რაზეც ახლა დიდი განგაშია ატეხილი.

ამ უზედურებას ემატება ისიც, რომ „საქსოფლდამზადების“ რესპუბლიკური გაერთიანებიდან ყოველთვის დიდი დაგვიანებით მიდის განრიგები, რაც იწვევს იმას, რომ მებოსტნეებმა არ იციან, ვისთვის რამდენი დაამზადონ. მაგალითად, 900 ტონის ნაცვლად თერჯოლელმა მებოსტნეებმა სახელმწიფოს 1321 ტონა კომბოსტო მიყიდეს. საკავშირო ფონდის განრიგი კი მხოლოდ 430 ტონაზე ჰქონდათ. ზეგეგმიური და გეგმიური განრიგი კი, დაგვიანებით მოვიდა. ამის გამო საკავშირო ფონდში გაგზავნილი პროდუქციის პირველი ხარისხის ხვედრითი წილი დადგენილი 90 პროცენტის ნაცვლად 60-70 პროცენტს არ აღემატება.

დამზადების რაიონული გაერთიანების მიერ უმკაცრესი კონტროლი არ არის დაწესებული საკავშირო ფონდში გადასატვირთ პროდუქციაზე და ტარით უზრუნველყოფაზე. ყუთები იგზავნება მარკირებისა და ეტიკეტების გარეშე, ფორმალურ ხასიათს ატარებს საკონტროლო და ხარისხის ინსპექციების საქმიანობა. ასეთი და სხვა მიზეზების გამო იკარგება ბოსტნეულის მოსავალი მაშინ, როცა რაიონში დაშვებული გეგმის შესრულების მდგომარეობა კითხვის ნიშნის ქვეშ არის, ზარალი კი დიდია.

უნდა აღინიშნოს, რომ ორჯონიკიძის, ზესტაფონის და თერჯოლის რაიონებს არ აქვთ მალფუჭადი პროდუქტების შესანახი საცავები. აღსანიშნავია ისიც, რომ გეგმის ზევით დამზადებულ პროდუქციაზე მეურნეობებს არ აძლევენ თანხებს მოსახლეობაზე გასაცემად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საგანგებო დადგენილების გარეშე.

ახლა აქ მზიანი დარები დაუდგათ სოფლის მეურნეობის მშრომელებს. საკმაოდ დიდი რაოდენობის ხილი და ბოსტნეულია, რომელთა დამზადება და გადატვირთვის ორგანიზაცია დაუყოვნებლივ უნდა ჩადგეს სასურველ გრაფიკში, რათა უზრუნველყონ კვების აუცილებელი პროდუქტებით მოსახლეობის მომარაგება, მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი დანაკარგები. ერთსულოვნად მოვკიდოთ ხელი მოსავლის აღებას, სახელმწიფოსათვის მიყიდვასა და დამზადებას. ამ მეტად მნიშვნელოვან კომპანიაში უდარდელობა და უძრაობა დანაშაულის ტოლფასია.

ბ. შარიძაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

პარტიული ცხოვრება

გარდაქმნა ყველას უნდა შეეხოს

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პარტიულ ჯგუფებსა და საამქრო პარტორგანიზაციებში კომუნისტთა აქტიურობით, მაღალი მომთხოვნელობის, პრინციპული კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით მიმდინარეობს საანგარიშო-საარჩევნო კრებები. მარტენის საამქროს მესამე ბრიგადის პარტიული ჯგუფის კრებაზე სიტყვით გამოვიდა ვეტერანი მეფოლადე თენგიზ ხმალაძე.

როგორც კომუნისტსა და კოლექტივის წევრს სიამაყის გრძნობით აღმავსებს, რომ საამქრო, რომელშიც მე ვმუშაობ, მოწინავეა მთელს კავშირში, ზედიზედ ოთხჯერ დაიმსახურა ქვეყნის შავი მეტალურგიის სამინისტროსა და დარგობრივი პროფკავშირის გარდამავალი წითელი დროშა. საამქროში დანერგილმა სიახლემ, რომელიც „რუსთავური მეთოდით" არის ცნობილი, კაპიტალისტური ქვეყნების მეტალურგიულ საწარ- ...

... ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებები ჩვენს ცხოვრებაში. ახლა კომუნისტი პასუხს აგებს არა მარტო თავისი თავის, არამედ მთელი პარტიული ორგანიზაციის საქმიანობისთვისაც.

პარტიულმა ორგანიზაციამ კი, თავის მხრივ, უნდა შეძლოს საქმის იმგვარად აწყობა, რომ ყოველმა კომუნისტმა და თითოეულმა უპარტიო მშრომელმა კეთილსინდისიერად აკეთოს მინდობილი ...

... ბი, რომლებიც გვაფიქრებს, თუ რამ გამოიწვია მასში ასეთი მოულოდნელი გარდატეხა, მას ხომ საწარმოში ყველა პატივს სცემდა? უცნაურია, თბილისის რეზინტექნიკური და ქიმიური ნაწარმის ქარხნის დირექტორის გ. უფლისაშვილისა და შრომითი კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარის გ. გუჩაშვილის პოზიციაც. მათ დაუყოვნებლივ მოგვწერეს, რომ გავანთავისუფლოთ მ. ლობჟანიძე თანამდებობიდან, რათა ჩაიბაროს პლასტმასის ქარხნის საამქრო. აი, რა მძლავრად მოქმედებს წარსულის ინერციის ძალა, კვლავაც ადგილი აქვს „ჩაწყობას", საქმის მოკვარახჭინებას.

კომუნისტმა მ. ლობჟანიძემ უნდა გვითხრას, რატომ ღალატობს ...

[...]

გვარი ინიციატივა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის შემდეგ სულ სხვა დრო დადგა, ძალუმად იგრძნობა გარდაქმნის სიო, მტკიცედ, გულდაჯერებით მკვიდრდება XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის, სკკპ ...

... სრულებით არ იცნობდა. და რაც არანაკლებმნიშვნელოვანია: რატომ განიზრახა მან მეტალურგის პრესტიჟული პროფესია, მაღალი გამომუშავება და კარგი პირობები შედარებით ბევრად მცირეხელფასიანი თანამდებობით შეეცვალა? არის კიდევ სხვა კითხვე- ...

... წლევანდელ ივლისის პლენუმზე ითქვა, მუშათა კლასი გარდაქმნის მთავარი დასაყრდენიაო. რომელ მუშაკაცს, მით უფრო კომუნისტს, არ ეამაყება ეს სიტყვები!

მოდით ვიმუშაოთ, როგორც კომუნისტს შეჰფერის. ეს არის ჩემი უმთავრესი სათქმელი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება „საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლების შექმნის შესახებ".

დადგენილებაში ნათქვამია, რომ ობოლი და უპატრონოდ დარჩენილი ბავშვების აღზრდისა და სოციალური დაცვის სისტემა, რომელიც ამჟამად მოქმედებს ჩვენს ქვეყანაში, საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარების ახალ პირობებში შემდგომ სრულყოფას მოითხოვს.

ჩვილ ბავშვთა სახლებში, ბავშვთა სახლებსა და სკოლა-ინტერნატებში ობოლ ბავშვთა აღზრდის, სწავლებისა და მატერიალური უზრუნველყოფის გაუმჯობესების მიმდინარე ღონისძიებებთან ერთად უნდა გამოვიყენოთ ამ ბავშვთა აღზრდის სხვა ჰუმანური ფორმებიც.

ხელმძღვანელობს რა პარტიის XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1988 წლის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დასახა ღონისძიებათა ...

... ყისები, განვუვითაროთ მათ დამოუკიდებლობა და თვითმმართველობა შრომითი კოლექტივებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუდმივი მზრუნველობის პირობებში.

საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლები სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების გამგებლობაში იქნება. საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის საბავშვო ფონდი უნდა მონაწილეობდეს ამ ბავშვთა სახლების ორგანიზაციასთან და საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა საკითხის გადაწყვეტაში. საბავშვო ფონდი და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები მოწოდებული არიან ხელი შეუწყონ მოქალაქეთა აქტიურ მონაწილეობას დაობლებულ ბავშვთა აღზრდაში, უზრუნველყონ საჯაროობა საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლებისათვის აღმზრდელი მშობლების შე- ...

... ვშვთა აღმზრდელი ოჯახებისათვის განკუთვნილი ბინებით, საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლების ზონალური პროექტები ადგილობრივი ბუნებრივ-კლიმატური-სოციალურ-დემოგრაფიული პირობებისა და საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით.

საბავშვო კომპლექსების დაპროექტებისა და მშენებლობის შემკვეთთა ფუნქციები ეკისრებათ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, ხოლო სპეციალიზებული საცხოვრებელი სახლების დაპროექტების და მშენებლობისა — ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს, სამინისტროებსა და უწყებებს.

საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლები უნდა შენდებოდეს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სსრ კავშირის სამინი- ...

[...]

... ოების ხელშემწყობ პირობებს, მათთვის სწავლისა და შრომისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების, მაღალი მორალური თვისებების ჩამოყალიბებას. საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლების მუშაობაში საჭიროა ყოველნაირად გამოვიყენოთ დემოკრატიული საწ- ...

... ლენინის სახელობის საბავშვო ფონდთან შეთანხმებით ორგანიზაცია გაუწიოს იმ საქმეს, რომ შემუშავდეს საკონკურსო საფუძველზე საბავშვო კომპლექსებისა და სპეციალიზებული საცხოვრებელი სახლების ეტალონური საპროექტო გადაწყვეტები ობოლ ბა- ...

... ხო ტიპის ბავშვთა სახლებს.

სსრ კავშირის სახალხო განათლების სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის ჯანდაცვის სამინისტროს, სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს დაე- ...

... კომპლექსში მათი შექმნის კვალობაზე ბავშვთა ესთეტიკური და ფიზიკური განვითარების მუდმივმოქმედი სტუდიები, სკოლები, ჯგუფები, აგრეთვე იკისრონ შემოქმედებითი შეფობა ოჯახისადმი, სადაც იზრდებიან ობოლი და უპატრონოდ დარჩენილი ბავშვები.

სოციალური სფერო: სახალხო მოხმარების საქონელი

ინებეთ ქართული ფაიფური

ბევრი რამ არის დამოკიდებული მსუბუქი მრეწველობის მუშაობაზე, აღინიშნა სკკპ XIX კონფერენციაზე. დღეს ჩვენ ვიმკით ამ დარგის განვითარებისადმი მრავალი წლის აგდებული დამოკიდებულების ნაყოფს. ამ საწარმოებში გამოიყენება მოძველებული მოწყობილობა, მძიმე ხელის შრომა, რაც უარყოფითად მოქმედებს ყველა ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებელზე.

ახლა განხორციელებულია ღონისძიებანი, რომლებმაც უნდა გამოასწოროს ეს მდგომარეობა და ამის ერთ-ერთი მაგალითია ზუგდიდის ფაიფურის ქარხანა.

ახლო წარსულში ტრადიციად იყო მიღებული: ყოველი ახალი ობიექტი, სამრეწველო საწარმო იქნებოდა იგი თუ საცხოვრებელი სახლი, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულება და სხვა დანიშნულების სამოქალაქო ნაგებობა, დამთავრებული იყო თუ დაუმთავრებელი, პარტიისა და ხალხის ცხოვრებაში რაიმე ღირსშესანიშნავ მოვლენასთან, ან მოახლოებულ საბჭოურ დღესასწაულებთან დაკავშირებით უნდა გადაცემულიყო საექსპლოატაციოდ. რა შედეგებით მთავრდებოდა ასეთი, თითქმის დაკანონებული იერიშობანა, მკითხველისათვის კარგად არის ცნობილი. სხვა უამრავ ხარვეზზე რომ არაფერი ვთქვათ, ახალი ობიექტი მეორე-მესამე წელს კაპიტალურ რემონტს მოითხოვდა და რა სამწუხაროა, რომ ძვალ-რბილში გამჯდარი ეს ინერცია დღესაც მეტნაკლებად შეიმჩნევა.

ზუგდიდის ფაიფურის ქარხანა — ქალაქის სამრეწველო საწარმოთა რიგში ერთ-ერთი დიდი და იმედისმომცემი ობიექტი ზარზეიმით მიიღეს 1976 წლის იანვარში და მოახლოებულ სკკპ XXV ყრილობის გახსნას მიუძღვნეს.

ჩვენ ახლა ნუ შევუდგებით იმის დეტალურ გარჩევას, თუ რამდენად იყო ობიექტი მზად და როგორ დააკომპლექტეს თავისი სპეციფიკით რთული და სათუთი საწარმო კვალიფიციური სპეციალისტებით. შემდგომმა პერიოდმა დაგვანახა, რომ ვერ შევძელით ავტომატიკაზე დაფუძნებული ტექნოლოგიური მართვა.

წარმოებაში ახალი დირექტორი მოვიდა. ეს იყო 1987 წლის იანვარში. შესაფერის კანდიდატურას დიდხანს ეძებდნენ და არჩევანი გივი სოსელიაზე შეაჩერეს, რომელიც ქალაქის ერთ-ერთ ტონის მიმცემ საწარმოს — ჩაის კომბინატს თავკაცობდა. ძნელია შეჩვეული და გამოცდილი კოლექტივის მიტოვება, როცა საქმე ...

... დაიწყო ქარხნის ჩამორჩენიდან გამოყვანის ხანგრძლივი და რთული პერიოდი. რა მემკვიდრეობა მიიღო დირექტორმა? 1986 წელს ფაიფურის ქარხანამ 6356 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქცია გამოუშვა, ხოლო მომდევნო წლის დამლევს ამ მაჩვენებელმა 9700 ათას მანეთს გადააჭარბა. 1986 წლის 220 ათასი მანეთის ზარალიდან მიმდინარე წლის ხუთ თვეში ქარხანამ თავისი არსებობის 12 წლის მანძილზე პირველად მიიღო 80 ათასი მანეთის მოგება, ხოლო ექვს თვეში — 200 ათასი მანეთი. ეს მონაცემები, ერთი შეხედვით, შეიძლება უმნიშვნელოდ მოგვეჩვენოს, მაგრამ ამ პოზიციაზე გასვლას დიდხანს ელოდა კოლექტივი და ეს მომენტი ფრთიანი გამოთქმით მონათლეს — „საიმედო ნახტომი რენტაბელობისაკენ".

სანამ ამ საიმედო ნახტომს გააკეთებდნენ, კოლექტივში დიდი მოსამზადებელი სამუშაოები შესრულდა. შეიქმნა საქმიანი და ...

... მომავლისათვის არის მიმართული და ერთსულოვნად ამოუდგნენ მხარში. ხელმძღვანელის ყველაზე ეფექტიანი თვისებაა მასებთან მუშაობის სიღრმე, კოლექტივთან საერთო ენის გამონახვა, მათი სატკივარის გათავისება და იმის მიღწევა, რომ შენს სიტყვას ფასი ჰქონდეს.

ახლა, წარმატებათა ამ პირველ ეტაპზე მთლიანად კოლექტივი და მისი თითოეული წევრი კმაყოფილია. საშუალო თვიური გამომუშავება უკანასკნელი წელიწადნახევრის მანძილზე 188 მანეთიდან 226 მანეთამდე გაიზარდა და პერსპექტივაში უკეთესობას მოელის. წარმოების ყველა წევრის ერთსულოვნება და იმის ღრმა შეგნება, რომ ქარხანა ქრონიკულად ჩამორჩენილის სახელს იმ- ...

... ორებს, ახალ პოზიციებზე გასვლის ფართო პერსპექტივას ქმნის.

ისევ ციფრები და ფაქტები: 1986 წლიდან დღემდე წარმოების მოცულობაში პირველი ხარისხის პროდუქცია 4,7 პროცენტიდან 12,3 პროცენტამდე გაიზარდა. ესეც მყარი და საიმედო ნახტომია. თუ 1986 წელს მანეთის პროდუქციის გამოშვებაზე მანეთი და 34 კაპიკი იხარჯებოდა, ახლა 98 კაპიკი იხარჯება, ხოლო წლის დამლევს ეს მაჩვენებელი 70 კაპიკამდე შემცირდება. ასევე შესამჩნევად არის შემცირებული ტექნოლოგიური ნარჩენები დაყალიბების პირველი და მეორე გამოწვის, მოხატვისა და დახარისხების პროცესში. 1986 წელს წარმოების მიერ გამოშვებული მთელი პროდუქციის 70 პროცენტი წუნიანი იყო, ახლა ეს მაჩვენებელი 35 პროცენტამდე ჩამოვიდა, ხოლო საშუალო საკავშირო ნორმა 27 პროცენტია. გადამეტებით სრულდება აგრეთვე სახელშეკრულებო ვალდებულებებით გა- ...

[...]

ვ. ჩარაია,

„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

წარმატებებმა ვერ მიჩქმალეს ხარვეზები

გაიმართა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმი. მან განიხილა საკითხი, თუ როგორ მიმდინარეობს მუშაობა „აფხაზეთის ასსრ ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებისა და „აფხაზეთის ასსრ ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების, ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელთა შორის ორგანიზაციული და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულებისათვის.

მოხსენების ტექსტი წინასწარ დაურიგეს პლენუმის მონაწილეებს. პლენუმის მონაწილეებს აგრეთვე მიეცათ შესაძლებლობა გასცნობოდნენ პლენუმზე განხილვისათვის მომზადებულ სხვა დოკუმენტებსაც.

პლენუმზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ვ. ად- ...

... ლის სამრეწველო მეფრინველეობის ფაბრიკისა და ოჩამჩირის კომბინირებული საკვების ქარხნის ამოქმედებამ.

განვლილი ათი წლის მანძილზე საექსპლოატაციოდ გადაეცა 1.013 ათასი კვადრატული მეტრი ბინები, აღებულია 118 ათასი კვადრატული მეტრი ბარაკის ტიპის შენობები, კეთილმოწყობილ ბინებში შესახლებულია 4.570 ოჯახი.

... მკვეთრი გაუარესება მეჩაიეებისაგან მოითხოვს მტკიცე ღონისძიებებს, რათა დაჩქარებით აღადგინონ ჩაის პლანტაციები, დაუბრუნონ საბჭოურ ჩაის ყოფილი დიდება.

საკმარისი ტემპით არ იზრდება ციტრუსების მოსავლიანობა, დიდია პლანტაციების სიმეჩხრე, სუსტად ინერგება კოლექტიური და ოჯახური იჯარა. ბინების მშენებლობის ტემპის მნიშვნელოვანი დაჩქარების მიუხედავად, ჩამინაო პრობლემა ავტონომიურ რესპუბლიკაში არ არის გადაჭრილი და კვლავ ძალზე მწვავეა. გადაწყვეტას მოითხოვს გარემოს დაცვის, შავი ზღვის აუზის გაჭუჭყიანების თავიდან აცილების, ეკოლოგიური ვითარების გაჯანსაღების ამოცანა.

საზოგადოებაში მიმდინარე გარდაქმნის პროცესები. სუსტად შეეხო ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროს, სამომხმარებლო ...

[...]

... მიერ 1989-1990 წლების ... (საქინფორმი).

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ◆ მოვლენა ◆ კომენტარი

კავშირის ხაზზე არიან პროფკავშირები

საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის პროფკავშირების თანამშრომლობის ფარგლებში საქართველოს ეწვია ბოსნიისა და ჰერცეგოვინის პროფკავშირული დელეგაცია. საქმიანი შეხვედრების პროგრამაში შედიოდა საწარმოების გაცნობა, სანატორიუმ „ქართლის" დათვალიერება, სადაც გადიან რეაბილიტაციას მძიმე დაავადებების შემდეგ. სტუმრებმა წაიკითხეს ლექციები პროფკავშირული მუშაკებისა და საზოგადოებრივი აქტივის წინაშე.

ვიზიტის დროს დელეგაცია შეხვდა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ხელმძღვანელობას. ბოსნიისა და ჰერცეგოვინის პროფკავშირთა კავშირთან მეგობრობისა და პირდაპი- ...

[...]

უბედური შემთხვევის ფესვები

[...]

რუმინელი ხალხის დღესასწაული

[...]

კვლავ განუკითხაობა?

სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების გამგეობის მისამართით, ამ ბოლო ხანს იმძლავრა წერილების ნაკადმა, რომელთა ავტორები გულისწყრომას გამოთქვამენ მიწათსარგებლობის კანონმდებლობის უხეში დარღვევათა გამო.

პატარა ლიახვის ვიწრო ხეობაში მდებარე სოფელ ვანათის ოცდაორი მკვიდრი გულისტკივილით აღწერს ამ მცირემიწიან სოფელში შექმნილ არანორმალურ ვითარებას, რაც გამოწვეულია დამეწყრილი მთის სოფლებიდან ჩამოსახლებული ოჯახების მიერ სახნავ-სათესი მიწების მიტაცებით.

რესპუბლიკის სახაგრომრეწვის რუსთაველის საზოგადოების პირველადი ორგანიზაციის წარმომადგენლებმა, ადგილზე შეისწავლეს საკითხი და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ კოლექტიური წერილის ავტორთა შეშფოთება მართლაც საფუძვლიანია. ვანათის მეცხოველეობის კომპლექსში მიწათსარგებლობის უხეში დარღვევები, იონჯის და ქერის ნათესების კერძო პირთა მიერ მიტაცება შესაძლებელი გახდა ცხინვალის რაიონისა და ვანათის საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელთა დაუდევრობისა და უპრინციპობის შედეგად. ეჭვს იწვევს რესპუბლიკის გეოლოგიის სამმართველოს სპეციალისტთა დასკვნებიც, რომელთა საფუძველზეც შარშან მთავრობამ მიიღო დადგენილება სამხრეთ ოსეთის მთის სოფლებიდან მოსახლეობის ვანათში ჩამოსახლების თაობაზე.

დარღვევების კონკრეტული ფაქტები რამდენიმე დღის წინათ აგრომრეწვის ხელმძღვანელობამ აცნობა რესპუბლიკის შემდგომ ორგანოებს.

რუსთაველის საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმი იმედს გამოთქვამს, რომ ღონისძიებები არ ამოიწურება ცალკეული თანამდებობის პირთა მიმართ ადმინისტრაციული ზომების მიღებით და ვანათის მკვიდრ მოსახლეობას შეექმნება ცხოვრების ნორმალური პირობები.

ასევე არასაკმარისად უნდა ჩაითვალოს ნებისმიერი ღონისძიება, მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში იმ ასოცდაათამდე მოსახლის დასახლების გარდა, რომლებმაც რამოდენიმე წლის წინათ უკანონოდ მიითვისეს ტერიტორია თბილისში, საავიაციო ქარხანასა და საწარმოო გაერთიანება „განთიადის“ დასახლებას შორის, უნებართვოდ აიგეს ბარაკის ტიპის სახლები და საპასპორტო რეჟიმის დარღვევით ჩამოსახლდნენ დედაქალაქში დმანისელები, ბოლნისელები და წალკელები.

მოსვენება დაუკარგავთ სოფელ დიღმის მცხოვრებლებსაც. 78 კაცი აწერს ხელს კოლექტიურ წერილს. მათ აწუხებთ სოფლის მიმდებარე საძოვრების — თელოვანისა და დიდგორის ველის 450 ჰექტარამდე ფართობის კოლექტიურ საბაღე მეურნეობისათვის გამოყოფის ფაქტი. სოფლისათვის თავისუფალი მიწის ნაკვეთის მოსპობა შესაძლოა სავალალო აღმოჩნდეს მისი სამომავლო არსებობისათვის. ნაჩქარევმა გადაწყვეტილებამ კი შეიძლება კიდევ ერთ ქართულ სოფელს გადაუჭრას სასიცოცხლო ძარღვი. გარდა ამისა, დიდგორის ველზე მიმდინარე არქეოლოგიური გათხრები ჯერ არ დამთავრებულა და არც არქეოლოგთა საბოლოო აზრია ჩამოყალიბებული მებაღეობისათვის გამოყოფილი ტერიტორიისადმი.

ასეა თუ ისე, სოფელ დიღმის მკვიდრთ სურთ სოფლის საგანგებო ყრილობაზე საჯარო მსჯელობისათვის იხილონ ყველა ის, ვისაც მათ ზურგს უკან ჩაუფიქრებია და ახორციელებს მათთვის საზიანო პროგრამას.

დროა მიწათსარგებლობის პრაქტიკაში სამუდამოდ აღდგეს კანონიერება. დროა ზოგ-ზოგებს სამუდამოდ დავუკარგოთ სურვილი საკუთარ ნებაზე ზომოს და ჭრას ქართული მიწა.

რეზო ამაშუკელი,
სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე;

იოსებ ცისკარიშვილი,
ამავე საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე.

დავიწყებას ნუ მივცემთ

ბოლო ხანს მრავალჯერ გამოითქვა აზრი იმის თაობაზე, რომ საზოგადოებამ უნდა დაუტოვოს შთამომავლობას უდანაშაულოდ დაღუპულთადმი თავისი თანაგრძნობის ნიშანი, თუნდაც ძეგლის ან მემორიალის სახით. ეს აზრი რომ კეთილშობილური მოტივებითა და წრფელი გრძნობებით არის ნაკარნახევი, ყველასათვის ცხადია. არც ის არის საეჭვო, რომ ასეთ ღონისძიებას მთელი ერი კმაყოფილებით შეხვდება. ასე რომ, განსჯისა და კამათისათვის საბაბი თითქოს არც კი არსებობს. მაგრამ ისევე, როგორც ყველა სერიოზული საკითხის გადაჭრისას, ამ საკითხსაც მრავალმხრივი მიდგომა სჭირდება. მაგალითისათვის ისიც იკმარებს, რომ მემორიალის სახელის შერჩევა ბევრი მორალურ-ეთიკური ხასიათის ასპექტს შეიძლება შეეხოს. ამ თვალსაზრისით პირადად მე ყველაზე მისაღებად მიმაჩნია გ. გვერდწითელის წინადადება — ეწოდოს მას უსაფლავო მამულიშვილთა მემორიალი. მართალია, ამ შემთხვევაშიც შეიძლება ვერ ავუაროთ გვერდი იმ წინააღმდეგობებს, რომლებზეც წინადადების ავტორი მიგვანიშნებს („ლიტერატურული საქართველო“ ა. წ. 24 ივნისი), მაგრამ, მოდით, ნურავის წავართმევთ უფლებას ამ საერთო საფლავში თავისი მიცვალებულის ადგილიც ივარაუდოს, მითუმეტეს, რომ ასეთი მემორიალი, ალბათ, მარტო ერთ რომელიმე პერიოდს არ უნდა გულისხმობდეს.

მეტად სასიამოვნოა, რომ ამ საკითხში თაოსნობა გამოიჩინა საქართველოს კულტურის ფონდმა და სულ ცოტა ხნის წინათ მისი ეგიდით ჩატარდა განხილვა მემორიალის პროექტისა (ჯ. მიქატაძე, რ. ბერიძე), რომლის ჩანაფიქრზე ავტორები რამდენიმე წელია უკვე მუშაობენ და რომელმაც განხილვაში მონაწილეთა ერთსულოვანი მოწონება დაიმსახურა. ასევე ერთსულოვნად იყო გამოთქმული აზრი, რომ ამ კეთილშობილური ჩანაფიქრის დროულად ხორცშესასხმელად ყველა ზომა უნდა იყოს მიღებული.

არანაკლებ მნიშვნელოვნად მიმაჩნია უსამართლოდ დაღუპულთა უკვდავყოფის მეორე ასპექტიც: საქართველო პირველი იყო რესპუბლიკათაგან, სამამულო ომში მონაწილე შინმოუსვლელთა აღნუსხვა რომ ჩაატარა. ნაღვაწი ჭეშმარიტად კეთილშობილურია და გულწრფელ მადლობას იმსახურებს. სამართლიანობა მოითხოვს, ასევე შევკრიბოთ ცნობები 1937-38 წლებში უდანაშაულოდ დაღუპულთა შესახებ. ამ საქმეში ჩვენ უკვე პიონერები არა ვართ, და ამან საქმე შეიძლება უფრო გაგვიადვილოს.

მე არ შემხვედრია ოფიციალური მონაცემები, თუ რამდენი ერის შვილი დაგვეღუპა მასობრივი რეპრესიების იმ წლებში, თუმცა ჩემი აზრით, ქართველთა პროცენტული წვლილი საერთო ზვარაკში ერთობ დიდი უნდა იყოს. განა არ უნდა ვიცოდეთ, ვინ და რამდენი დავკარგეთ? აი, რას წერს ჟურნალ „ოგონიოკის“ ერთ-ერთი მკითხველი (ნ. მოლჩანოვი, № 34, აგვისტო, 1987 წ): „ობიექტური საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად წინადადება შემომაქვს გამოვცეთ ცალკე წიგნად მონაცემები რეპრესირებულთა შესახებ, მათი ფოტოსურათებითა და თუნდაც მოკლე ბიოგრაფიული ცნობებით. საჭიროა საქვეყნოდ აღვადგინოთ პატიოსანი სახელები!“ მე ვფიქრობ, რომ ეს გადაუდებელი ამოცანაა, რადგან ჯერ კიდევ შეგვიძლია მოვიძიოთ ოფიციალური დოკუმენტები, ან შევკრიბოთ მონაყოლი, მოგონება, გახსენება კოლეგებისა, ნათესავებისა, მეგობრებისა.

ჩვენში ამჟამად იმდენი საზოგადოება ფუნქციონირებს, არა მგონია, რომელიმემ არ იკისროს ამ საქმის ორგანიზაცია. იმ შემთხვევისათვის, თუ კი არავინ გამოგვეხმაურა, წინადადებით მივმართავ ჩემს „კოლეგებს“ — „ხალხის მტრების“ შვილთ — მოდით, როგორმე ჩვენ მოვაბათ თავი ამ საქმეს, თორემ ვაი თუ არ გვაპატიოს შთამომავლობამ მათი წინაპრების სახელები და საქმეები დავიწყებას რომ მივეცით!

ი. მიწიშვილი.

იქნებ ჯარიმამ გაჭრას

გამოხმაურება ც. ჩხიკვიშვილის წერილზე „ეს დამღუპველი, „რა მოხდა მერე!“

▼ ▼

დიდად ამაღელვა პროფესორ ცოტნე ჩხიკვიშვილის წერილმა — „ეს დამღუპველი „რა მოხდა მერე!“. დიახ, დამკვიდრდა ჩვენს ცხოვრებაში, ჩვენს ცნობიერებაში ეს საშიში, გულგრილობის საოცარი გამომხატველი ცნება — „რა მოხდა მერე?“ და, მართლაც, რამდენი უწესო ჩვეულების, უზნეობის წყარო გახდა იგი. აბა, დავუკვირდეთ, აგერ, რუსთაველის პროსპექტსა და ლენინის ქუჩაზე რამდენი მიწისქვეშა გადასასვლელია. მერე, ხალხი მაინც სადაც მოეხასიათებათ, იქ გადადის. ამას აკეთებენ ხანდაზმულებიც და ახალგაზრდებიც.

ამას წინათ ასეთი ამბის მომსწრე გავხდი. ლენინის ქუჩაზე, ფილარმონიასთან ახლოს, სადაც მიწისქვეშა გადასასვლელია, საკმაოდ ჭარმაგმა მამაკაცმა ქუჩაზე გადაირბინა. მოახერხა, სწრაფად მიმავალ ავტომანქანებს შორის გაძრომა. მას ქალი მიჰყვა, იმანაც იმავე ხერხებით, უსაფრთხოდ გადასერა ქუჩა. მოსწავლე გოგონებმაც გადაირბინეს და აი, უცებ, ორმა, ასე ოთხი ხუთი წლის ბიჭუნებმა, რომლებიც პატარა ველოსიპედებზე ისხდნენ, მოული სისწრაფით იწყეს ქუჩის გადაჭრა. ისინი პირდაპირ [illegible] ნენ და რაც შეიძლება [illegible] სწრაფად ამო[illegible]. [illegible] მძღოლებმა [illegible] ის შეჩერება, მათთვის არიდება, პატარები გადარჩნენ, მაგრამ ასე რომ არ მომხდარიყო, დამნაშავე ვინ იქნებოდა? სწორედ ის უფროსები, რომლებმაც პატარებს ასეთი დანაშაულისაკენ უბიძგეს.

„გადავასწრებ მანქანას, რა მოხდა მერე!“ იტყვის ერთი და გადარბის უადგილო ადგილას. ამ უწესობამ ბოლო ხანს ისე მოიკიდა ფეხი ჩვენს ქალაქში, რომ იგი ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.

როგორ ვებრძოლოთ ამ უდისციპლინობას? ვფიქრობ, უნდა დავაწესოთ ჯარიმა. დიახ, ჯარიმა, როგორც ეს უცხოეთის ბევრ ქვეყანაში არის დადგენილი.

დიახ, წესრიგს უნდა მივაჩვიოთ ხალხი, თორემ რა გამოდის. აგერ ავტობუსიდან თუ ტროლეიბუსიდან გადმოდის ქალი, ან კაცი და ჰაერში აფრიალებს ბილეთს, ვითომ ამით მძღოლს თავის წესიერებას უმტკიცებს, უბილეთოდ არ მიმგზავრიაო. მაგრამ იმავე ბილეთს ქუჩაში რომ ისვრის და იქაურობას ანაგვიანებს, ეს სრულებითაც არ ენაღვლება, „რა მოხდა მერე“. ქუჩის დამხვეტი რას აკეთებს, იმან იხალოს თავში. ასეთ მაგალითს ვუჩვენებთ პატარებს. ასეთი მოქმედებით ინერგება ჩვენში უკულტურობა, უხამსობა, უზრდელობა.

ლ. მარსაგიშვილი.

ძლიერი სულის ადამიანები

იაკობ იოსების ძე ჯუღაშვილი — 1939 წლის სექტემბერში ჩაირიცხა ძერჟინსკის სახელობის საარტილერიო აკადემიის გამოსაშვებ კურსზე, რომელიც 1940 წლის მაისში უნდა დაემთავრებინა და მიეღო არტილერიის სამწყობრო მეთაურის სპეციალობა. მაგრამ მან სთხოვა სარდლობას ერთი წლით გაეგრძელებინათ მისთვის აკადემიაში სწავლა.

1941 წლის 5 მაისს აკადემიამ გამოუშვა და სამხედრო ნაწილში დაგზავნა 700 არტილერიის მეთაური და ინჟინერი 12 სხვადასხვა სპეციალობით. მათ შორის იყო იაკობ ჯუღაშვილი.

აკადემიის სარდლობის დახასიათებიდან: „იაკობ იოსების ძე ჯუღაშვილმა 1941 წლის 5 მაისს დაამთავრა ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის ლენინის ორდენოსანი საარტილერიო აკადემიის სრული კურსი სამწყობრო განხრით. 1927 წლიდან 1937 წლამდე ალკკ წევრი. 1937 წლიდან სკკპ (ბ) წევრობის კანდიდატი, 1940 წლის 29 მაისიდან სკპ (ბ) წევრი. პარტიული ბილეთი № 0396175, გაცემულია მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პროლეტარული რაიკომის მიერ. 1938 წელს მოხალისედ წავიდა წითელი არმიის რიგებში და სწავლა დაიწყო მ. გ. წ. ა. საარტილერიო აკადემიაში. იგი გამოირჩევა მუყაითობით, უყვარს რა სამწყობრო საქმე, სერიოზულად ეკიდება გადასაწყვეტ საქმეს, მუშაობაში იჩენს აკურატობას და სიზუსტეს. ფიზიკურად კარგად განვითარებულია, საარტილერიო მომზადებაში და ტაქტიკაში ძლიერია, ყველასადმი კეთილმოსურნეა, სარგებლობს კარგი ავტორიტეტით, შეუძლია აკადემიაში მიღებული ცოდნის გამოყენება, პრაქტიკული სწავლების დროს მიღებული გამოცდილების გამოყენება საარტილერიო დივიზიონის მასშტაბით. ხასიათით თავშეკავებულია, მშვიდია, მომთხოვნი და ნებისყოფიანი მეთაურია. სტაჟირებისას გამოამჟღავნა ბატარეის მეთაურისათვის საჭირო ცოდნა, სრული მომზადება და მზადყოფნა. ბატარეის მეთაურის თანამდებობაზე მცირე ხნით სამსახურის შემდეგ შეიძლება დაწინაურებულ იქნეს დივიზიონის მეთაურად, ღირსია მიენიჭოს მორიგი წოდება — „კაპიტანი“.

ფაკულტეტის კომისიის თავმჯდომარე არტილერიის გენერალ-მაიორი შერმეტიევი, პარტბიუროს მდივანი კაპიტანი ტიმოფეევი, ჯგუფის ხელმძღვანელი კაპიტანი ივანოვი“.

პარტიულ-პოლიტიკურ დახასიათებაში ნათქვამია: საბჭოთა სამშობლოს ერთგულია, პოლიტიკურად მყარი და საიმედოა, სწავლობდა კეთილსინდისიერად და ბეჯითად, დაბრკოლებების გადალახვა შეუდრკლად შეუძლია. აკადემიის უფროსი არტილერიის გენერალ-ლეიტენანტი სავკოვი; კომისიის თავმჯდომარე არტილერიის გენერალ-მაიორი შერმეტიევი; კომისიის წევრები: ბრიგადის კომისარი კრასილნიკოვი, პოლკის კომისარი პრიჩკო.

გამოსაშვები საღამო და აკადემიის კურსდამთავრებულთა შეხვედრა მთავარსარდლობასთან და მთავრობის ხელმძღვანელობასთან შედგა 1941 წლის 5 მაისს კრემლის სასახლეში. დარბაზობა გაიმართა კურსდამთავრებულთა საპატივსაცემოდ. ი. ბ. სტალინმა მისასალმებელი სიტყვით მიმართა და აღნიშნა, რომ საერთაშორისო ვითარება სულ უფრო დაძაბული ხდება და რომ დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს არმიაში მაღალგანვითარებულ, სტრატეგიულად და ტაქტიკურად მომზადებულ მეთაურთა შემადგენლობას. ყოველი მშვიდობიანი დღე ჩვენთვის ძვირფასია ახალი იარაღის ათვისებისა და მისი დანერგვისათვის, — თქვა მან.

უფროსი ლეიტენანტი იაკობ ჯუღაშვილი სამხედრო სამსახურის გასაგრძელებლად გადაგზავნეს მე-14 სატანკო დივიზიის მე-14 საარტილერიო პოლკის მეექვსე მძიმე საჰაუბიცო ბატარეის მეთაურად, რომელიც იმ დროს მოსკოვის ახლოს ქალაქ ნარო-ფომინსკში იყო განლაგებული. დანიშვნას ხელს აწერდა სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარი — მარშალი ტიმოშენკო. პოლკის შტაბში შესთავაზეს ადგილის დაკავება, მაგრამ მან მოითხოვა სამეთაურო თანამდებობაზე სამსახური, დანიშვნის თარიღი — 1941 წლის 11 ივნისი.

ყოველი დღე სულ უფრო დაძაბული და შემაშფოთებელი ცნობებითა და შემთხვევებით თენდებოდა, მეთაურთა შემადგენლობა უკვე აღარ მალავდა, რომ ომი კარზეა მომდგარი. კვირა დღე გათენდა რაღაც საშინელის მოლოდინში. მეთაურთა წინაშე გამოვიდა დივიზიის კომისარი — გულიაევი და აღელვებულმა განაცხადა:

— ომი დაიწყო, ამხანაგებო! დილის 4 საათზე გერმანიის ფაშისტური არმია ვერაგულად დაესხა თავს ჩვენს სახელმწიფოს და მიმდინარეობს ჩვენს საზღვრებთან სისხლისმღვრელი დაუნდობელი ბრძოლა. მიაშურეთ თქვენს ნაწილებს და ელოდეთ განკარგულებებს.

იმ დღეს უკანასკნელად შეხვდნენ მამა-შვილი ერთმანეთს — იაკობი დაემშვიდობა სტალინს. 23 ივნისის მთელი დღე, როგორც საარტილერიო პოლკში, ისევე, სატანკო დივიზიაში დაძაბულ და შეუნელებელ მოქმედებაში გადიოდა. მებრძოლები და მეთაურები იქვე აძლევდნენ წერილიან კონვერტებს გასაცილებლად მოსულთ. მოქალაქეებს, თითქოს მთელ მოსკოვს და მის შემოგარენს იქ მოეყარათ თავი. მოვიდნენ მებრძოლთა ფრონტზე გასაცილებლად. მრავალმა მათგანმა, ვინც ადგილობრივები იყვნენ, მოინახულეს ახლობლები. ისმოდა ტირილის, ქვითინის ხმები, უფროსთა დარიგებები და ოჯახის წევრთა თხოვნები, გაფრთხილებები. იაკობი მეთაურთა წრეში იდგა და სრულიად მშვიდად და დამაჯერებლად უხსნიდა, რომ ფაშისტთა დამარცხება გარდუვალია. ბევრმა სცადა ჩვენი სამშობლოს დაჩოქება, მაგრამ თითონ აღმოჩნდნენ წითელი არმიის წინაშე დაჩოქებულნიო. ცოტა მოცილებით კი სამოქალაქო ომის გმირის — მიხეილ ვასილის ძე ფრუნზეს ვაჟი, 19 წლის ლეიტენანტი, მფრინავი-გამანადგურებელი თემურ მიხეილის ძე ფრუნზე ჩვენ თანამემამულეს ლეიტენანტ ტანკისტს ვლადიმერ ილიას ძე კობახიძეს ახალგაზრდა, ლამაზი ქალიშვილის ფოტოსურათს უჩვენებდა. ვალიკომ არ დააცადა სიტყვის თქმა, სურათი გამოართვა და დასძინა:

— თემურ, ძმობილო, რა ლამაზი ქალიშვილია, შენი საცოლეა?

თემურს გაეღიმა.

— არა, რას ამბობ, ვალიკო! ჩემი უმცროსი დაა, წარმოგიდგენია? ეგ ლამაზი თვალები უსინათლოა. ბიძია კლიმის დახმარებით ერთხელ უკვე იყო გერმანიაში სამკურნალოდ და პროფესორმა მკურნალობის მეორე კურსი მიმდინარე წლის ივლისში დაუნიშნა და, აგერ! — დაღონებულმა ირგვლივ მიმოიხედა, სახეზე მოულოდნელად ღიმილი გადაეკრა, იქვე ახლოს იაკობს მოჰკრა თვალი და მეგობარს უთხრა — წამოდი, ვალიკო, ერთი კარგი შენი თანამემამულე უნდა გაგაცნოო. მივიდნენ, მიესალმნენ ერთმანეთს. ვალიკო უყურებდა მის წინაშე მდგარ ტიპიურ ქართველ სიმპათიურ უფროს ლეიტენანტს. იაკობმაც შეიცნო ვალიკო კობახიძეში ქართველი მეთაური. ხელი გაუწოდა და გაეცნო — იაკობ ჯუღაშვილი! ვალიკომ თავისი გვარი და სახელი მოახსენა, დასძინა: რა კარგი გვარის კაცი ბრძანებულხართ, ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო. იაკობმაც გაიღიმა და უთხრა — ჰო, ვლადიმერ ილიას ძე! თქვენც კარგი სახელი და მამის სახელი გქონიათ. რაჭაში — ბაჯში გავიზარდე, ალბათ თქვენც რაჭიდან იქნებით, კობახიძეებიც ხომ რაჭველები არიან. დედაჩემი სვანიძის ქალი გახლდათ.

მათ საუბრის დამთავრება ვერ მოასწრეს, რომ იაკობს გამოუძახა — მეთოთხმეტე არტპოლკის მეთაურმა — პოლკოვნიკმა ივანე საპეგინმა და იაკობ ჯუღაშვილს კონკრეტული დავალება მისცა, პირადად ეხელმძღვანელა 152-მმ მძიმე საჰაუბიცო ბატარეის ეშელონზე დატვირთვისათვის, და ვინაიდან იგი დივიზიის შტაბში სასწრაფოდ იყო დაბარებული, თავის ადგილზე იაკობი დატოვა.

იმავე ღამეს 10 საათზე იაკობის საარტილერიო პოლკი, მოსკოვის მე-7 მექანიზებული კორპუსის სხვა შენაერთებთან ერთად ეშელონზე დაიტვირთა დასავლეთის ფრონტის მთავარი მიმართულებით და სმოლენსკისა და ვიტებსკისაკენ დაიძრა. მე-14 სატანკო დივიზიის პოლკების შეკრების პუნქტად დანიშნული იყო ვიაზმის და ორშას შორის მდებარე ტყის მასივი, დასახლებული პუნქტები და რკინიგზის სადგურები, სადაც გათვალისწინებული იყო მე-7 მექანიზებულ კორპუსს თავდაცვის ხაზი დაეკავებინა თუ იმ დროისათვის ფაშისტთა მექანიზებული ნაწილები — გუდერიანისა და გოტის სატანკო არმიები და გენერალ შმიდტის მოტორიზებული კორპუსი, რომელიც შეუჩერებლივ ილტვოდა ვიტებსკ-სმოლენსკ-ორშას შორის თავდაცვაში განლაგებული საბჭოთა ჯარის ოპერატიულ ალყაში მოქცევას, საშუალებას მისცემდა გერმანელ სარდლობას პირდაპირი და უმოკლესი გზით შეეტია მოსკოვისათვის, მაგრამ, საბედნიეროდ ეს ასე არ მოხდა. ფაშისტთა გაავებულ შეტევებს წინ აღუდგა მეშვიდე მექანიზებულ კორპუსში შემავალი არა მარტო ცნობილი სამხედრო მეთაურთა შემადგენლობა, არამედ აგრეთვე სატანკო დივიზია, რომელმაც გზა გადაუღობა გუდერიანის გააფთრებულ სატანკო არმიების შენაერთებს „ადოლფ ჰიტლერს“ და სს-ის სხვა სატანკო შენაერთებს, რომლებიც გზას უკაფავდნენ ფაშისტთა არმიებს გერმანია-საბჭოთა კავშირის ფრონტის მთავარი მიმართულებით. აქ ფაშისტურმა არმიამ პირველად იგემა წითელი არმიის დარტყმის ძალა და საბჭოთა შეიარაღების ძლიერება. აქ სმოლენსკის ცნობილ კარიბჭესთან ბრძოლაში დაიბადა პირველი გვარდიული ნაწილები და შენაერთები, მათ შორის 1-ლი მოტომსროლელი დივიზია, რომელიც ერთ-ერთი პირველი დაჯილდოვდა საბრძოლო წითელი დროშის ორდენით, ხოლო ამ დივიზიის სამმა მებრძოლმა პირველებმა დაიმსახურეს საბჭოთა კავშირის ყველაზე მაღალი ჯილდო — გმირის ოქროს ვარსკვლავი 1941 წლის ივლისში. შემდეგომ ამ დივიზიის ალისფერ დროშას დაამშვენებს მრავალი საბრძოლო ორდენი, დივიზია მიიღებს უმაღლესი მთავარსარდლის 15 მადლობას და მისი სრული წოდება ოფიციალურ საბუთებში ასე ჩაიწერება: „1-ლი გვარდიული პროლეტარული მოსკოვისა და მინსკის სახელობის, ლენინისა და ორგზის წითელდროშოვანი, სუვოროვისა და კუტუზოვის ორდენოსანი მოტომსროლელი დივიზია“, აღსანიშნავია ის, რომ მთელი საბჭოთა შეიარაღებული ძალების დივიზიებში ამ დივიზიაზე უფრო მაღალი საბრძოლო დამსახურება და ტიტული არცერთ დივიზიას არ გააჩნია. ამის შესახებ კარგად აქვს მოხსენებული გენერალ-ლეიტენანტ პ. გ. კუზნეცოვს წიგნში — „მოსკოველი გვარდიელები“. ამ სახელოვან დივიზიას ეს მაღალი ჯილდოები და აღიარება მოუპოვა მრავალ სისხლისმღვრელ ბრძოლებში გამარჯვებულმა მისმა გმირმა მებრძოლებმა და მეთაურთა შემადგენლობამ, რაშიც სათანადო დიდი საბრძოლო წვლილი სხვასთან ერთად უფროს ლეიტენანტს იაკობ იოსების ძე ჯუღაშვილსაც მიუძღვის, რომელიც ომის დაწყების პირველივე დღიდან თავგანწირვით და გმირულად შეება გააფთრებულ ფაშისტთა ურდოებს, უჩვენა საბჭოთა მეთაურის თავგანწირვის მაგალითი, სამშობლოს ერთგულება და თუ არა ის ხაბედისწერო 16 ივლისი, როდესაც იაკობ ჯუღაშვილი ლიოზნოსთან უთანასწორო ხელჩართულ ბრძოლაში ფაშისტებმა ტყვედ ჩაიგდეს, იაკობიც ერთ-ერთი პირველი საბჭოთა კავშირის სახელოვანი გმირი გახდებოდა. ამის აღიარების უფლებას მაძლევს სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის არქივში არსებული 1941 წლის 6 ივლისის ბრძოლების ქრონოლოგიური აღწერა სოფელ ლიოზნოსთან და მდინარე ჩერნოგოსტინსთან, სადაც იაკობმა გამოავლინა წითელი არმიის მეთაურისათვის დამახასიათებელი ძლიერი ნებისყოფა, სამშობლოსათვის თავდადება, გამძლეობა და შეუდრეკლობა, რამაც უზრუნველყო ფაშისტთა ტანკებისა და არტილერიის შეტევის შეჩერება და პოზიციის შენარჩუნება, რისთვისაც სარდლობამ მე-6 ბატარეის მეთაურს, უფროს ლეიტენანტს ჯუღაშვილს შუამდგომლობა აღუძრა კაპიტნის წოდებაზე და წარადგინა „უმაღლეს ჯილდოზე“, ხოლო 1941 წლის 7 ივლისის წარდგინებაში წერია: „სარდლობის საბრძოლო დავალებათა საუკეთესოდ შესრულებისათვის საბჭოთა მეთაურების ჯგუფი: მე-14 სატანკო დივიზიის პოლიტგანყოფილების უფროსი — პოლკის უფროსი კომისარი, ფედოსოვი ივანე თედორეს ძე, ამავე დივიზიის არტილერიის უფროსი — პოლკოვნიკი ლიპოვსკი მიხეილ ვასილის ძე, არტილერიის ადიუტანტი — კაპიტანი ლავრიკი ნიკოლოზ ემელიანეს ძე, ბატალიონის კომისარი — ბოიკო მიხეილ თედორეს ძე, დივიზიონის მეთაური — უფროსი ლეიტენანტი ჯუღაშვილი იაკობ იოსების ძე, რომლებმაც ფაშისტებთან ბრძოლაში გამოავლინეს გმირობა და მამაცობა წარდგენილი იქნენ მთავრობის ჯილდოზე“.

მანამდე კი ბრძოლები ასე წარიმართა: სამხედრო შენაერთი, სადაც იაკობი იბრძოდა, გადმოტვირთეს ვიაზმისა და ორშას შორის მდებარე რკინიგზის სადგურებზე. იმ დროისათვის გერმანელებს დიდი უპირატესობა გააჩნდათ ჰაერში, ეს კი მათ მფრინავებს საშუალებას აძლევდა თამამად ემოქმედათ და დაებომბათ ჩვენი ტერიტორია, სამხედრო ნაწილები, ქალაქები და სოფლები. დივიზიამ, ავიაციის ყურადღება რომ არ მიეპყრო, ღამით განაგრძო გზა ლეპელისა და ზაბოლოტნოეს მიმართულებით. გაიარა ლიოზნო, ვიტებსკი, კამარი, გნეზდილოვიჩი, ბეშენკოვიჩი, სადგური ჩელნიშკი და იმავე ღამეს ჩადგა თავდაცვაში რადუნის ტერიტორიაზე. დაიკავა სამხრეთით მთელი რიგი დასახლებული პუნქტები, რომლებთანაც გაჩაღდა ფიცხელი ბრძოლები. თითოეული სოფელი თუ დასახლებული პუნქტი ყოველდღიურად ხელიდან ხელში გადადიოდა, მით უმეტეს, რომ ფაშისტებს დიდი უპირატესობა გააჩნდათ ტანკებსა და განსაკუთრებით ავიაციაში, ჩვენი მეომრები უშიშრად იბრძოდნენ ერთ ნაბიჯსაც არ თმობდნენ. ბრძოლების სიმძაფრემ ვიტებსკ-ორშა-სმოლენსკის ცნობილ სამკუთხედზე უმაღლეს წერტილს მიაღწია. ასევე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა 22-ე არმია, რომელსაც სათავეში ედგა გენერალ-მაიორი ერშაკოვი პოლოცკ-ნეველისა და ველიკიე ლუკის მიმართულებით. მის მხარდასაჭერად სასწრაფოდ მიემართებოდა მე-19 არმია გენერალ კონევის მეთაურობით, მაგრამ იმის გამო, რომ ავიაციისაგან დიდი ზარალი მიადგათ, მათი შეერთება და ერთ ძალად შეკვრა ვერ მოხერხდა.

11 ივლისს ვიტებსკი დაეცა. ვიტებსკის დაპყრობით ხელ-ფეხი გაეხსნათ ქალაქის ალყასთან მდგომ გერმანელთა დივიზიებს და სს-ელთა ნაწილებს. შემობრუნდნენ აღმოსავლეთისაკენ და დაიწყეს ალყაში მოქცეულთა ლიკვიდაცია. ძნელია იმის დაბეჯითებით მტკიცება, რომ იაკობ ჯუღაშვილის ბრძოლის უბანი ფაშისტებისათვის ცნობილი იყო, მაგრამ, ვიდრე დასკვნას გავაკეთებდეთ, გავეცნოთ იაკობის ერთადერთი ცოცხალი თანაპოლკელის, თანამებრძოლის — მრავალი საბრძოლო ორდენის კავალერის ვლადიმერ ალექსანდრეს ძე კრივონოსოვის ნაამბობს.

„იაკობ იოსების ძე ჯუღაშვილთან ჩემი ნაცნობობა და დახლოება ჯერ კიდევ ომამდე, ომის დაწყების წინა პერიოდში დაიწყო. მოსკოვის საარტილერიო აკადემიის დამთავრების შემდეგ იგი ჩვენთან მე-14 სატანკო დივიზიაში გადმოგზავნეს. ვიდექით ნარო-ფომინსკში. ომის დაწყების დროსაც გვერდი-გვერდ ვიდექით და საბრძოლველადაც ერთად წავედით ვიტებსკისა და სმოლენსკის მიმართულებით. ის რომ სტალინის შვილი იყო, ცხადია, ყველამ ვიცოდით. ყველა ჩვენგანში მეტად კულტურული, დიდად განათლებული, დახვეწილი ინტელიგენტის შთაბეჭდილებას ტოვებდა. სხვებივით არ უყვარდა მკაცრი განკარგულებების გაცემა. პატივს სცემდა ამხანაგებს.

ჩვენს შეტევას მხარს უჭერდნენ ტანკები და არტილერია. ჩვენი პოზიციის წინა ხაზზე გამოვიდა მძიმე საჰაუბიცო ბატარეა იაკობ ჯუღაშვილის მეთაურობით. ცნობა ამის შესახებ ელვასავით მოედო მთელ ნაწილს, რომ ჩვენ შეტევას მხარს უჭერს უკვე კარგად ცნობილი და სახელოვანი არტილერისტი იაკობ ჯუღაშვილი. ამან ყველა გაგვახარა და გამარჯვების იმედი ჩაგვისახა. მე მაშინ მეკავშირედ ვიყავი მიმაგრებული იაკობთან. გერმანელებმა ალბათ მკაცრი ბრძანება მიიღეს და შემოგვიბრუნდნენ. ჩვენი შეტევა შენელდა, მაგრამ ჩვენი არტილერისტებისა და ტანკისტების მგრგვინავმა ცეცხლმა კვლავ უკუაქცია ფაშისტები. კვლავ წინ წავედით და ჩვენთან ერთად შეტევაზე გამოგვყვა იაკობის ბატარეაც თავისი მზვერავებით, მეკავშირეებით და უნარიანად გაუძღვა ბრძოლას, სადაც გამოავლინა გამბედაობა, ინიციატივა და საარტილერიო ბრძოლის კარგი ცოდნა. ასეთი გამბედავი მეთაური იშვიათად შემხვედრია. შეტევის დროს წავაწყდით კიდევ ერთ ჩასაფრებას. გერმანელთა ტყვიამფრქვევებმა თითქმის მიჯრით დაგვიშინეს ცეცხლი. თავიდან ჩაფხუტი გადამძვრა, მაგრამ გადავრჩი და იაკობთან გავვარდი. მან უცებ მოასწორო კორექტირება და თავისი ბატარეიდან გაუხსნა გამანადგურებელი ხანჯლური ცეცხლი, მტრის ტყვიამფრქვევები თავის გათვლებითურთ გაანადგურა. ჩვენ შეტევა განვაგრძეთ, დავიკავეთ სტრატეგიული სიმაღლე. „ხომ ხედავთ! არც ისეთი დიდი ვაჟკაცები ბრძანდებიან ფაშისტი „ვოიაკები“, მათთან შებმა და მათი დამარცხება შეიძლება — მითხრა იაკობმა. ჩვენ იმ დროისათვის ტაქტიკურ ალყაში ვიმყოფებოდით და ბრძოლებით მივიკვლევდით ჩვენი ჯარებისაკენ გზას. მეორე დღეს ჩვენს უბანში ბრძოლა მიყუჩდა, მიიღეს რა ჩვენგან ძლიერი დარტყმა, სადაც დაკარგეს დიდძალი ტექნიკა და ცოცხალი ძალა, გერმანელი ფაშისტები შეტევაზე აღარ გამოსულან. აგვიარეს გვერდი და გაიჭრნენ ვიტებსკისა და ბორისოვისაკენ, რითაც საბოლოოდ ალყა გადაკეტეს და გადაგვიჭრეს ჩვენიანებთან გასავლელი გზა.

იაკობი კარგად ერკვეოდა კონკრეტულ ტაქტიკურ საკითხებში, ადგილმდებარეობის ორიენტაციაში, სამხედრო რუკებში და საბრძოლო სიტუაციებში. ურთულეს სახიფათო სიტუაციებშიც კი არ კარგავდა სიმშვიდეს და თავდაჭერილობას. არ უყვარდა უაზრო სჯა-ბაასი, იყო მუდამ საქმიანი და ყურადღებიანი. გვეტყოდა ხოლმე — არ შედრკეთ, ბიჭებო, სიმხდალეს დამარცხება მოსდევს, ნაპოლეონიც მოვიდა მოსკოვთან, მაგრამ რუსეთი ვერ დაამარცხა. ასეთივე ბედი ეწევა ჰიტლერის ავანტიურასო. ყოველდღიურ შემხვედრ ბრძოლებში გვეღუპებოდა ამხანაგები.

ვიტებსკის აღმოსავლეთით, ვიტებსკ-სმოლენსკის რკინიგზაზე გადასვლისას ადგილობრივმა მცხოვრებლებმა გვაცნობეს, რომ სოფელში მანქანებით და მოტოციკლეტებით შეიჭრა სს-ელთა ჯგუფი 150 კაცამდე და ხოცავენ დაჭრილ წითელარმიელებს, მეთაურებს და ადგილობრივ მოსახლეობას. იაკობმა მიიღო გადაწყვეტილება სასწრაფოდ დაესხათ, ალყა შემოვარტყათ და გადავარჩინოთ ჩვენი თანამოძმეებიო. სოფელში გაჩაღდა სწრაფი შეუპოვარი ბრძოლა. იაკობი პატარა ჯგუფით ისრისებურად შეიჭრა მტრის შუაგულში, ჩვენ კი გარს შემოვერტყით მტერს და მათი დაცვა სწრაფად გავანადგურეთ. ნაწილმა იარაღი დაყარა და დაგვნებდა. მათი მეთაური სს-ის მაიორი მუხლებზე დაეცა და იაკობს სუფთა რუსულ ენაზე ხვეწნა დაუწყო — ნუ დამხვრეტ, სიცოცხლე შემინარჩუნეო. იაკობმა თვალებიდან ნაპერწკლები გადმოყარა, ასეთი აფეთქებული არასდროს არ მენახა, გაშმაგებულ ვეფხვს ჰგავდა. მუხლებზე დაცემული ფაშისტი ხელის ერთი მოქნევით ფეხზე წამოაყენა და კბილებში გამოსცრა — რად დახოცე ეს მშვიდობიანი ხალხი და დაჭრილი მებრძოლები, განა მაგათ კი არ უნდოდათ სიცოცხლე?! — დამნაშავე ვარ. ბრძანება გვაქვს, ვინც არა გვჭირდება მოვიცილოთო. ჩვენ ჯგუფს დავალებული გვაქვს ვიპოვოთ ცოცხალი ან მკვდარი სტალინის შვილი, რომელიც ამ მიმართულებით იბრძვისო.

იაკობს სიბრაზემ გადაუარა, გაიღიმა და ჰკითხა: „მერე რა ქენით, იპოვეთ?“ „კარგად შეხედე და დაიხსომე, სტალინის შვილი შენ წინ დგასო“ — უთხრა ერთ-ერთმა ჩვენმა მებრძოლმა. მაიორს ფეხები მოეკვეთა... ჩვენ დამსახურებული სიმკაცრით გავუსწორდით ფაშისტ-მკვლელებს. საჩქაროდ ავკრიფეთ მათი ავტომატები, ხელყუმბარები და დავიძარით ლიოზნოსაკენ, სადაც ტყეს შევეფარეთ. გზაში იაკობს ვკითხე: იაკობ იოსების ძევ, რატომ წახვედით ასეთ რისკზე, ხომ შეიძლებოდა დაღუპულიყავით? — შეიძლებოდა, მაგრამ ხომ ნახე, რომ არ დავიღუპე. მტერი შედრკა მოულოდნელობისაგან. ეს საბრძოლო ილეთი ჩვენი წინაპრებისაგან მოგვდგამს, ასე იბრძოდნენ ისინი და თავისი პატარა მფრინავი რაზმებით დიდ ზარალს აყენებდნენ მოწინააღმდეგის ჭარბ ძალებსო“.

კრივონოსოვის ეს ნაამბობი ემთხვევა არქივიდან ამოღებულ ისტორიულ სინამდვილეს. როგორ მოვიქცეთ? ვირწმუნოთ, რომ ფაშისტებმა ნამდვილად იცოდნენ იაკობ ჯუღაშვილის ბრძოლების მიმართულება, თუ ლამაზი ფანტაზიის ნაყოფად ჩავთვალოთ? პირადად მე, როგორც ავტორს, მჯერა მისი. მასთან ხანგრძლივმა საუბარმა დამარწმუნა, რომ საქმე მაქვს პატიოსან, გულწრფელ, უნიკალურ პიროვნებასთან და ერთადერთ ცოცხალ მოწმესთან, ვის გვერდითაც იბრძოდა იაკობი და ვის თვალწინაც გადაიხადა იაკობმა თავისი უკანასკნელი ბრძოლა, ვინც თავისი თვალით იხილა ალყაშემორტყმული იაკობის ხელჩართული გააფთრებული ბრძოლა და მისი დატყვევების ტრაგედია. *ანდა რატომ არ შეიძლება მართლაც სცოდნოდათ გერმანელებს ფრონტის რომელ უბანზე იმყოფებოდა სტალინის უფროსი ვაჟი, როდესაც ყოველდღიურად ათასობით საბჭოთა მებრძოლებს ატყვევებდნენ, მათ შორის იმ დივიზიიდანაც, სადაც იაკობი მსახურობდა და პირადად იცნობდა მას. ვინც გერმანიის სახმელეთო ჯარების გენერალური შტაბის უფროსის ფრანც ჰალდერის ჩანაწერებს იცნობს, მის მეორე ტომში ნათლად ჩანს, რომ ჩვენი არმიის ყოველგვარი გადაადგილებანი, დანიშნულებანი და სხვა მრავალი ოპერატიული თუ სტრატეგიული ცნობები, თუ არა იმავე დღეს — მეორე, მესამე დღეს მათთვის ცნობილი ხდებოდა. ამიტომ ალბათ ეჭვს არ იწვევს, რომ გერმანელებსაც ჰყავდათ თავისი „შტირლიცი“, „კუზნეცოვი“, „აბელი“ და სხვა მრავალი. ეს კი გვაფიქრებინებს, რომ გერმანელთა დაზვერვა შეიძლება სახით ვერ სცნობდა იაკობს, მაგრამ იაკობი რომ თავის ბატარეით ვიტებსკ-შუმილინო-პოლოცკის მიმართულებით იბრძოდა, ეს მათთვის ცნობილი იქნებოდა.

ჩვენი მთხრობელი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე კრივონოსოვი, მრავალი საბრძოლო ორდენის კავალერი, ცხოვრობს და მოღვაწეობს მოსკოვში. არის ომისა და შრომის ვეტერანი, მსახურობს სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის „მაშინოიმპორტის“ უფროს ექსპერტად.

იაკობის რაზმმა ტყის სიღრმეში შეაფარა თავი, რადგან ფაშისტები ტყეში შესვლას ვერ ბედავდნენ. ღამით ლიოზნოსა და რუდნიას მიმართულებით ჩვენი არტილერიის სროლის სანეტარო ხმა ისმოდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ალყაში მყოფი რაზმი არცთუ შორს იმყოფებოდა ჩვენი არმიის ნაწილებისაგან. საჭირო იყო ფრთხილად და მოფიქრებით მოქმედება. ყოველი კილომეტრი უნდა დაეზვერათ და ასე ნელ-ნელა მიიწევდნენ აღმოსავლეთისაკენ, დაღლილ-განაწამებ მებრძოლებს ყველაზე მეტად მაინც შიმშილი აწუხებდათ. სამი დღე-ღამის განმავლობაში არ დანაყრებულან. ტყეში მოძიებული სოკოებითა და მცენარის ძირებით იყუჩებდნენ შიმშილს. 16 ივლისს, დილით გადაწყვიტეს რამდენიმე მებრძოლით სოფელ ლიოზნოში მზვერავები გაეგზავნათ და თუ საშუალება მიეცემოდათ, მოსახლეობაში სურსათი ეთხოვათ: მზვერავებს სოფელში შესვლა აღარ დასჭირდათ, დაინახეს, რომ ტყის პირას საჯარისო სამზარეულოდან კვამლი ამოდის და მის გარშემო წითელარმიელები ტრიალებენ, ქვაბს ურევენ, შეშას ჭრიან. — გვეღირსა! — აღმოხდათ მებრძოლებს. დაეწყვეთ საუზმის მისაღებად! — გაიცა ბრძანება. გახარებულმა და დამშეულმა ბიჭებმა ავტომატები ზურგზე გადაიკიდეს, მათ კარდალები მოიმზადეს, ნაბიჯს უმატეს და მხოლოდ ბოლო მომენტში მიხვდნენ, რომ მახე ჰქონდათ დაგებული. წითელარმიელების ფორმაში ფაშისტები იყვნენ გადაცმულნი. გაჩაღდა ფიცხელი ბრძოლა. ტყის სიღრმეში ჩასაფრებულმა გერმანელთა რაზმმა ტყვიამფრქვევის ცეცხლი გახსნა. იაკობის რაზმის ნაწილი ხელჩართულ ბრძოლაში ჩაება, ნაწილი ტყეში შეიჭრა და იქიდან გაუხსნეს ფაშისტებს ჯგუფური ცეცხლი. იაკობის არტილერისტები ლომებივით იბრძოდნენ. მრავალ გერმანელს მოუსწრაფეს სიცოცხლე, მაგრამ ჩვენებიც ბევრი დაეცა გმირის სიკვდილით, ტყვიით თუ ხანჯლით განგმირული. იაკობი ელოდა ტყეში შესულ მებრძოლთა ჯგუფს ხელჩართულ ბრძოლაში ჩაებას, მაგრამ ისინი უკვე შორს იყვნენ. იაკობის ფეხებთან დაეცა ტანმაღალი ათმეთაური გრიშა ბოგდანოვიჩი, რომელსაც იაკობისათვის მოქნეული დუგლუგი თავში მოხვდა.

სულ ხუთიოდე მებრძოლიღა დარჩა იაკობის ჯგუფიდან, ვისაც ჯერ კიდევ ფეხზე დგომა შეეძლო. გერმანელთა ალყა სულ უფრო მჭიდროვდა. ფაშისტთა ველური ღრიანცელი, ყვირილი, სროლა, და უცებ ზურგიდან მარჯვენა მხარში ავტომატის დუგლუგის უძლიერესი დარტყმა, რამაც იაკობს ხელიდან ხანჯალწამოცმული ავტომატი გააგდებინა. ფაშისტები მგლის ხროვასავით შემოეხვივნენ, ხელები გადაუგრიხეს და გაუყენეს უსასრულო გზას, საიდანაც მობრუნება აღარ ეწერა. ამ ურთულეს და უსასტიკეს ხელჩართულ ბრძოლაში იაკობი ტყვედ ჩაიგდეს. იაკობის რაზმიდან ვინც ტყეს შეაფარა თავი, მხოლოდ 11 მებრძოლი დარჩა. ჩვენი არმიის მთავარ ძალებთან შეერთებამდე სულ რამდენიმე კილომეტრი რჩებოდა და თუ არა მაცდუნებელი მახე, საჯარისო სამზარეულო, რომელმაც მშიერ მებრძოლებს სიფხიზლე დააკარგვინა, იმავე 16 ივლისს ტყის მასივის გავლით მტრის ალყიდან თავს დააღწევდა.

ერთხელ კიდევ იბადება კითხვა — ამ უკანასკნელ ბრძოლაში, სადაც ფაშისტებს ძალთა დიდი უპირატესობა გააჩნდათ, რატომ დაინდეს იაკობი? რატომ არ მოკლეს? ფაშისტებს ხომ ტყვეები არ აინტერესებდათ. უმეტეს შემთხვევაში ტყვედ დანებებულებს ადგილზევე ხვრეტდნენ. იაკობსაც ხომ, როგორც სხვას, წითელ არმიელის ხალათი ეცვა, მაგრამ იქნებ იმ შავგვრემან მებრძოლში მისი უნარით და გმირული მოქმედებით მეთაური შეიცნეს, იქნებ ეს ყოჩაღი და ვაჟკაცური შემართების მეთაური სწორედ ის უფროსი ლეიტენანტი — სტალინის შვილი იყო, რომელსაც ფაშისტები გაშმაგებით ეძებდნენ. მათი გუმანი გამართლდა. 1941 წლის 16 ივლისს ბელორუსიის სოფელ ლიოზნოსთან შუადღის 12 საათზე დატყვევებული უცნობი მეთაური გადასარჩევ ტყვეთა ბანაკში მოათავსეს.

ფაშისტები არცთუ ძალიან თავგამოდებით იცავდნენ სხვის ტერიტორიაზე განლაგებულ დროებით ტყვეთა ბანაკებს. ზოგჯერ განგებ თვალსაც კი ხუჭავდნენ ტყვეთა გაპარვაზე, რომ შემდეგ გაპარულებისათვის ცეცხლი დაეშინათ და „კანონიერად“ დაეხოცათ. ამით ისინი ასრულებდნენ ჰიტლერის საიდუმლო დირექტივას „რაც შეიძლება მეტი მოსპეთ სამხედრო ტყვეები და ადგილობრივი მოსახლეობა, რათა მათი გამოკვება არ დაგვჭირდესო“. ამიტომ 1941 წელს ტყვედ ჩავარდნილმა მრავალმა მებრძოლმა და მეთაურმა თავი დააღწია ტყვეობას, დაუბრუნდა მშობლიურ სამხედრო ნაწილს ან შეუერთდა პარტიზანულ ჯგუფებს. იქნებ იაკობსაც არ დასჭირდებოდა ამ ფრონტისპირა ტყვეთა ბანაკიდან თავის დაღწევა თუ არა იუდასებური ღალატი და საზიზღარი გამცემლობა. მაშინ, როდესაც იაკობი ბანაკიდან გაქცევის ვარიანტებს ეძებდა, ოკუპირებული ვიტებსკიდან ორი „ოპელ-კაპიტანი“ მოადგა ტყვეთა ბანაკს. გერმანელ ოფიცრებს დაგეშილი ძაღლივით წინ მიუძღოდა ჩია ტანის თვალებჩამძვრალი, მოლეული სახის ტყვე წითელარმიელი, რომელმაც ოფიცრები იაკობთან მიიყვანა და მიუთითა: „აი ისიც — თვითონ ეგ არის სტალინის შვილი — უფროსი ლეიტენანტი, მე ვიცნობ მაგას!“

იაკობს ტანში შეაჟრჟოლა, ამით ხომ იმ გარეწარმა გაქცევის იმედის უკანასკნელი ძაფი გადაუჭრა.

განცვიფრებულმა ესესელებმა ეჭვის თვალით შეხედეს შიმშილისაგან და დაღლილობისაგან ქანცგაწყვეტილ ტყვეს და „იუდას“ მუქარით შეხედეს. — „დიახ, დიახ, ეგ არის სტალინის შვილიო“. იაკობის უარის თქმას აზრი აღარ ჰქონდა და დაუდასტურა: „დიახ! მე გახლავართ სტალინის ვაჟი, უფროსი ლეიტენანტი იაკობ იოსების ძე ჯუღაშვილი“.

1941 წლის 18 ივლისს, ესესელთა გაძლიერებული დაცვის ზედამხედველობით ქალაქ ვიტებსკთან ახლო მდებარე საველე აეროდრომიდან თვითმფრინავ „იუნკერსით“ სასწრაფოდ ბერლინში გადააფრინეს იაკობი.

იმ დღიდან დაიწყო იაკობის გზა—წამებისა, უსასრულობისაკენ.

ილია ტატიშვილი.

● ამ ბოლო დროს საბჭოთა პრესის ფურცლებზე ხშირად ქვეყნდება იაკობ ჯუღაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მასალები, ნარკვევები, პუბლიკაციები. თანდათან ნათელი ეფინება მის გმირულ შემართებას, დატყვევების ტრაგედიას, მტრის წინაშე გაუტეხაობას და სამშობლოს ერთგულებას, რამაც განაპირობა კიდეც ფაშისტთა ბანაკში იაკობის ვერაგული მკვლელობა. ქართველი მკითხველი სულ უფრო მეტ დაინტერესებას იჩენს იაკობის ფენომენის მიმართ, მათ ყველაფერი აინტერესებთ დაუმორჩილებელი საბჭოთა მეთაურის შესახებ.

მწერალ დოკუმენტალისტმა ილია ტატიშვილმა საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის არქივში არსებული მასალების შესწავლისა და მრავალ საინტერესო პიროვნებასთან შეხვედრის შედეგად გამოსაქვეყნებლად მოამზადა წიგნი „იაკობ ჯუღაშვილი“, რომელშიც მოთხრობილია იაკობის ცხოვრება, ბრძოლა და ტრაგიკული დასასრული.

გთავაზობთ ნაწყვეტს ამ ნაშრომიდან.

გზა უსასრულობისაკენ

დატყვევებული იაკობ ჯუღაშვილი სასწრაფოდ ბერლინში გადაგზავნეს.

უცხოეთში

საქინფორმის იუწყება · 25 აგვისტო

● აშშ—სსრ კავშირი

საჭიროა ახლებური მიდგომა

ვაშინგტონი. საბჭოთა და ამერიკელ სპეციალისტთა შეხვედრები პოლიტიკის, განათლების, ეკოლოგიის საკითხებზე, სემინარები და კონფერენციები თვალსაჩინო მწერლებისა და ჟურნალისტების მონაწილეობით, ორი ქვეყნის სტუდენტთა კონტაქტები — ასეთია ამერიკის მოქალაქეთა გაცვლის საბჭოს საქმიანობის სფერო, რომელმაც აქ გაავრცელა მოხსენება შარშანდელი და თავისი არსებობის 25 წლის საქმიანობის შედეგების შესახებ.

„პრეზიდენტ რეიგანისა და საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელის მიხეილ გორბაჩოვის უმაღლესი დონის შეხვედრის შედეგად ამერიკა-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა შეუქცევადი გახდა, ნათქვამია საბჭოს განცხადებაში. — ახალი პირობები გვიკარნახებენ, რომ საჭიროა ახლებურად მივუდგეთ ორ ქვეყანას შორის გაცვლის საკითხებს".

მარტო შარშან მოქალაქეთა გაცვლის საბჭოს ხელშეწყობით ორგანიზებულ პროგრამებში მონაწილეობდა ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის სამი ათასზე მეტი მოქალაქე, ამერიკელთა ჯგუფები იყვნენ საბჭოთა კავშირის 20 ქალაქში, მათ შორის მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, ერევანში, ალმა-ათაში. მიმდინარე წლის იანვრიდან საბჭო აქტიურად მონაწილეობს უმაღლეს სასწავლებლებს შორის სტუდენტთა გაცვლის ახალ პროგრამაში. პირველ ეტაპზე გათვალისწინებულია ჰარვარდისა და სხვა უნივერსიტეტებში საბჭოთა სტუდენტების ჯგუფების ორკვირიანი მოგზაურობა გაცნობის მიზნით, ამერიკელი სტუდენტებისა კი — მოსკოვში, კიევის, კიშინიოვის, დონის როსტოვის, დონეცკის, ხარკოვის, ნოვოსიბირსკის უმაღლეს სასწავლებლებში. როგორც საბჭოს მოხსენებაშია აღნიშნული, ამ პროგრამის მიზანია ორი ქვეყნის უდიდეს სასწავლებლებს შორის მტკიცე ურთიერთობის დამყარება.

ბულგარეთი: გარდაქმნის პრაქტიკა

დირექტორი „გავიდა ხალხში"

სოფია. როცა წინა დირექტორი სამუდამოდ ტოვებდა თავის კაბინეტს, საწარმოს მდგომარეობა არასახარბიელო იყო. მარტო გადაუხდელი ანგარიშების თანხა შეადგენდა მილიონ ლევზე მეტს. ბურგასის გასაზომი აპარატურის ქარხანა, რომ იტყვიან, პიკის მდგომარეობაში იყო.

გვაცნობს რა ამ შემთხვევას, ყოველკვირეული „სოფიის ახალი ამბები" წერს, რომ გამოსავალი გამონახეს, ახლანდელი დირექტორი — ინჟინერი დიმჩო სლავოვი კი არ დანიშნეს, არამედ იგი კოლექტივმა აირჩია. რწმუნებულთა კრებამ დირექტორობის სამი „კონკურენტი" კანდიდატიდან უპირატესობა სლავოვს მიანიჭა. რით დაიწყო მან? რწმენის აღდგენით. გამოეთხოვა ორ მოადგილეს, მოიწონა კონკურსი ყველა ხელმძღვანელი თანამდებობისათვის. განამტკიცა რა მთავარი პოსტები ენერგიული სპეციალისტებით, დირექტორი თვითონ „გავიდა ხალხში", უფრო სწორად, მივიდა ხალხთან — მუშებთან, ოსტატებთან. მასთან საუბარში მდგომარეობის გამოსწორების შესახებ იმდენი კონკრეტული წინადადება წამოაყენეს, რომლებსაც ვერასოდეს ვერ მიაგნებდა, კაბინეტში რომ მჯდარიყო.

ერთბაშად არა, მაგრამ კოლექტივმა იწამა ახალი ხელმძღვანელი. ქარხანა ამუშავდა. პირველი წელი გამოცდა იყო ყველასათვის. ამ გამოცდას გაუძლეს. პირველად შესრულდა წლიური საგეგმო დავალება, ხოლო ამჟამად უკვე არცთუ მცირე მოგებაც კი აქვთ.

ორი დირექტორი — ორი ქარხანა. თითქოს, ყველაფერი ძველებურად არის: ტექნიკა, ადამიანები. შედეგები კი საპირისპიროა. გარდაქმნა, წერს „სოფიის ახალი ამბები", რენტგენივით ულმობლად აშუქებს დირექტორის სავარძელში მსხდომთ. იგი ინიციატივისა და განახლების ხალხს უნდა ეკუთვნოდეს.

მხატვრის კომენტარი

ამერიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები კვლავ განაგრძობენ ხალხის დაშინებას „საბჭოთა მუქარით".

გაზეთ „პიპლზ დეილი უორლდის" ნახატზე ერთ-ერთ მელს, რომელიც ცხვრებს ტყეში მიერეკება, კბილებში აქვს ფურცელი წარწერით: „მოქალაქენო! მოგვყევით, თორემ რუსები წამოგვეწევიან".

ტელეტაიპის ლენტიდან

● **ნიუ-იორკი.** 130 მილიონ დოლარზე მეტი კომპენსაცია უნდა გადაიხადონ ამერიკის შეერთებული შტატების უმდიდრეს ადამიანთაგან სამმა ტეხასელმა ბიზნესმენებმა ძმებმა ნელსონ, უილიამ და ლამარ ჰანტებმა და მათმა თანამოსაქმეებმა, რომლებიც პერუს მთავრობის კომპანია „მინპეკოში" შედიან.

ასეთი გადაწყვეტილება გამოიტანა ნიუ-იორკის სასამართლომ, რომელმაც განიხილა უპრეცედენტო საქმე: ჰანტებს ბრალად ედებათ ცდა აეწიათ ვერცხლის ფასები მთელ მსოფლიო ბაზარზე გიგანტური სპეკულაციური აფიორის ფარგლებში.

● **ჟენევა.** გაიმართა სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა შეხვედრა საბჭოთა კავშირ-ამერიკის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულების მოქმედების განხილვის მიზნით. ეს შეხვედრა ეწყობა ყოველ 5 წელიწადში ერთხელ მას შემდეგ, რაც 1972 წელს ხელშეკრულება ძალაში შევიდა. მხარეებმა მოაწყვეს ორი ასეთი ერთობლივი განხილვა 1977 და 1982 წლებში.

● **რანგუნი.** როგორც ოფიციალურმა რადიომ გადასცა, ბირმის დედაქალაქსა და ქალაქ პიიში გაუქმდა სამხედრო წესები, რომლებიც იქ 8 აგვისტოს გამოცხადდა. გამოქვეყნდა აგრეთვე სახელმწიფო საბჭოს განკარგულება რანგუნის ცენტრალური რაიონებიდან ჯარების გამოყვანის შესახებ. ამრიგად, დაკმაყოფილდა იმ მასობრივი მანიფესტაციათა მონაწილეების ზოგიერთი მოთხოვნა, რომლებიც ბირმის მრავალ რაიონს მოედო.

● **მანილა.** ფილიპინის კუნძულების ხელისუფლებმა დააპატიმრეს იაპონელი ტურისტი, რომელიც ამ ქვეყანაში ეძებდა დონორებს მდიდარი იაპონელებისათვის შინაგანი ორგანოების გადასანერგად. როგორც გამოირკვა, ოსამუ კურიხარა აქ უკვე 11-ჯერ ყოფილა ნამყოფი, და, ეტყობა, ტყუილად არ გარჯილა. უკანასკნელი, თირკმლის გადანერგვის წარმატებული ოპერაციისათვის მან 18 მილიონი იენი მიიღო.

სცენაზე არიან ნორჩები

● **წალკა.** თუმცა წალკის რაიონის სოფელ ბეშთაშენის კლუბის აფიშები იუწყებოდნენ სპექტაკლ „გერიას" პრემიერის ამბავს და არ ასახელებდნენ მსახიობებს, მაგრამ აქ მათ ყველა იცნობს. ყველა როლს ხომ ბეშთაშენელი ბავშვები ასრულებდნენ. ისინი თვითონ კერავდნენ კოსტიუმებს, ამზადებდნენ დეკორაციებს.

წრის ხელმძღვანელი ზ. ჩაკალოვა სამ თვეს აწყობდა რეპეტიციებს ნორჩ მსახიობებთან. შრომა ფუჭად არ დაკარგულა — მაყურებლებმა დიდად შეაფასეს ენთუზიასტი მსახიობების შთაგონებული და გულწრფელი თამაში და მათი დამრიგებლის გარჯა.

ზარი ახალ სკოლაში

● **გალაკტიონ ტაბიძის** სახელობის საშუალო სკოლას ორი ახალი კორპუსი მიაშენეს, რომელიც 250 მოსწავლისათვის არის განკუთვნილი, სკოლას შეემატა კვების ბლოკი, ახალი სპორტული დარბაზი.

ცოტაც და გალაკტიონის სახელობის სკოლის ახალ კორპუსებში სექტემბრის ზარი აწკრიალდება.

ქარხნის ახალი პროდუქცია

● **ბათუმი.** ქიმიურ-ფარმაცევტულ ქარხანაში მიიღეს ალოეს ახალი ექსტრატი. მისი ტექნოლოგია შეიმუშავა საქართველოს კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა. აქამდე ალოეს ნარჩენები გამოუყენებელი იყო. ნარჩენების ფარშისაგან შესანიშნავი კომპონენტი დამზადდა, რომელიც პარფიუმერიაში გამოიყენება.

საწარმომ პირველი 3 ტონა პროდუქცია შუა აზიაში გაგზავნა.

გუშინ — დღეს — ხვალ

ფაქტი ■ მთვლენა ■ კომენტარი

სამთო-ტურისტული ბანაკი

● **ჩაქვის** ტურისტულმა ბაზამ, რომელიც პოპულარულია ჩვენს ქვეყანაში, ახლახან სოფელ ჩაისუბნის ტერიტორიაზე გახსნა სამთო-ტურისტული ბანაკი. იგი მოემსახურება როგორც შორეული რეგიონებიდან ჩამოსულ ტურისტებს, ისე აჭარის საწარმოთა მუშა-მოსამსახურეებსა და კოლმეურნეებს. ბანაკს ერთდროულად შეუძლია 60 ტურისტი მიიღოს. მათთვის მზად არის საძინებელი ოთახები და სასადილო. ბანაკი აწყობს ლაშქრობებს ახლო და შორეულ მთებში, აჭარის ისტორიულ და სხვა ღირსშესანიშნავ ადგილებში.

რუსთაველიდან მოვდივართ...

● **თელავში** შეიქმნა რუსთაველის საზოგადოების რაიონული ორგანიზაცია. პოეტის ბარელიეფი ამშვენებს ფირნიშს წარწერით — „რუსთაველის საზოგადოების რაიონული ორგანიზაცია" გაზეთ „ალაზნის განთიადის" რედაქციის და სტამბის შენობაზე. აქ დაიდო ბინა რუსთაველის სახელზე შექმნილმა რესპუბლიკაში ერთ-ერთმა პირველმა საზოგადოებამ, რომელიც ყოველდღიურად იზრდება და ძალას იკრებს: ასამდე პირველადს ორგანიზაციაში უკვე გაერთიანდა შვიდი ათასზე მეტი წევრი.

რუსთაველის საზოგადოების რაიონული ორგანიზაციის პრეზიდიუმის სხდომაზე შეიმუშავეს სამოქმედო პროგრამა.

რუსთაველის საზოგადოების თელავის რაიონულ ორგანიზაციაში იმუშავებს ქართული ენის სიწმინდის და „ვეფხისტყაოსნის" შემსწავლელი, ვაზის დაცვის, ახალგაზრდული პრობლემების, დემოგრაფიული, ეკოლოგიური, კულტურის ძეგლთა დაცვის, ქართული ტრადიციების მუდმივი კომისიები.

პრეზიდიუმზე მოკლე ინფორმაციები გააკეთეს მუდმივმოქმედ კომისიათა თავმჯდომარეებმა. პირველ სხდომაზე გამოიკვეთა რაიონის ტერიტორიაზე განლაგებულ კულტურის ძეგლთა სავალალო მდგომარეობა, შემუშავდა გადაუდებელ სამუშაოთა გეგმა-გრაფიკი, გადაწყდა სპეციალური ჯგუფების შექმნა, რომლებიც ადგილზე ნახავენ, შეისწავლიან ვითარებას და შემდეგ გადაიდგმება პრაქტიკული ნაბიჯები ჩვენი სულიერი სიმდიდრის მოვლა-პატრონობის გზაზე.

წინ საინტერესო, დაძაბული, მრავალმხრივი სამუშაოა!

რუბრიკისათვის გამოყენებულია საკდესის, საქინფორმისა და „კომუნისტის" კორესპონდენტთა მასალები.

მოკლემნის გოლოსიტყაობა

წერილი მოსკოვიდან

ახლახან დამთავრდა სიდნეიში (ავსტრალია) პიანისტთა მეოთხე საერთაშორისო კონკურსი. ამ კონკურსში ბრწყინვალე და დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა თბილისის კონსერვატორიის (თ. ამირეჯიბის კლასი) კურსდამთავრებულმა ალექსანდრე კორსანტიამ.

ძნელი გზა გაიარა პიანისტმა გამარჯვებამდე. მას წინ უსწრებდა მრავალსაფეხუროვანი შერჩევა. რეგიონალური მოსმენა გაიმართა ვენაში, ნიუ-იორკსა და ტოკიოში. ასეთი შერჩევა მოეწყო ჩვენთანაც — კუიბიშევში. მასში მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან ჩამოსული ახალგაზრდა პიანისტები, რომელთაგან ბევრი საერთაშორისო და საკავშირო კონკურსების ლაურეატია. საკავშირო მოსმენაზე ალექსანდრე კორსანტია ბრწყინვალედ გამოვიდა და ერთხმად მიანიჭეს მას პირველობა კონკურსისათვის შერჩეულ პიანისტთა ჯგუფში.

სიდნეის კონკურსი მთელი მსოფლიოს ახალგაზრდა ნიჭიერ მუსიკოსთა დათვალიერება, პიანისტთა საერთაშორისო ოლიმპიადა გახდა.

კონკურსის ერთ-ერთი მიმზიდველი ნიშან-თვისება გახდა რეპერტუარის შეუზღუდავი, თავისუფალი არჩევა. ამან დიდად განსაზღვრა შემსრულებლის სახე. ა. კორსანტიას პროგრამა გამოირჩეოდა სტილის მრავალფეროვნებით, ჰარმონიულობითა და მრავალპლანიანობით.

პიანისტს ახასიათებს ნაწარმოების ღრმა ინტერპრეტაცია, შინაგანი სიღრმე, გულწრფელობა, მომხიბვლელი თავმდაბლობა და ამავე დროს ესოდენ ახალგაზრდა კაცისათვის საოცარი თავდაჯერა.

ახლა ალექსანდრე კონცერტებს მართავს ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში. მის გამოსვლებს იწერენ რადიოში, ტელევიზია გადაცემებს უძღვნის მას. ახალგაზრდა მუსიკოსი გასტროლებს გამართავს ჰონკონგსა და სინგაპურში, შემდეგ — ევროპის ქვეყნებში.

სულითა და გულით მინდა მივულოცო შესანიშნავი წარმატება ალექსანდრე კორსანტიას, მის პედაგოგს თენგიზ ამირეჯიბს, თბილისის კონსერვატორიასა და საქართველოს მთელ მუსიკალურ საზოგადოებრიობას.

ლ. ვლასენკო,
პროფესორი,
რსფსრ სახალხო არტისტი.
საქინფორმი.

სპორტი

„დინამო" იბრუნებს ქომაგებს

თბილისის „დინამო" — ბაქოს „ნეფთჩი" — 2:0

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ივლისში რომ დაწყებულიყო, დღეს თბილისის „დინამო" ერთ-ერთი ლიდერი იქნებოდა. ჩვენმა გუნდმა მეორე წრის ექვს მატჩში რვა ქულა მოაგროვა (იმდენი, რამდენიც მთელ პირველ წრეში): სამი თამაში მოიგო, ორი ფრედ დამთავრა და ერთი წააგო. სპორტში, კერძოდ — ფეხბურთში, მოგეხსენებათ, გუნდის ავ-კარგის უპირველესი საზომი შედეგია. პირველ და მეორე წრეს თუ გავმიჯნავთ, აშკარაა, რომ თბილისის „დინამოში" სასიკეთო ცვლილებები შეინიშნება — რვა ქულა ექვს მატჩში უკვე რაღაცას ნიშნავს. უმაღლეს ლიგაში ყოფნაარყოფნასთან დაკავშირებულ ჩვენს შიშს თანდათან ეცლება საფუძველი, თუმცა, ცხადია, ბრძოლა არ დამთავრებულა. ბრძოლა, შეიძლება ითქვას, ახლა იწყება და ჩვენი გუნდი, როგორც ჩანს, მზად არის ამისათვის. სატურნირო ცხრილის ქვედა ნაწილში (ისევე, როგორც ლიდერთა ჯგუფში) კვლავ სიმჭიდროვეა, მაგრამ მეთხუთმეტე-მეთექვსმეტე და ზემო ადგილებზე მყოფთა შორის ქულათა სხვაობა თანდათან იზრდება.

ოცდამეერთე ტურის შემდეგ ეს სხვაობა კიდევ უფრო ხელშესახები გახდა: თბილისის „დინამომ" ორი ქულა აართვა თავის უახლოეს კონკურენტს — ბაქოს „ნეფთჩის". გუშინწინდელი მატჩის სიუჟეტი მისმა პროლოგმა განსაზღვრა — მასპინძლები უკვე მესამე წუთზე დაწინაურდნენ და ამან გუნდს ტაქტიკური მანევრირების საშუალება მისცა. მართალია, ერთი გოლი ფეხბურთში სერიოზული ფორა არ არის, მაგრამ მატჩის დასაწყისშივე მოპოვებულმა წარმატებამ დინამოელთა თამაშში მეტი დამაჯერებლობა და სიმშვიდე შეიტანა. ჩვენმა ფეხბურთელებმა საიმედოდ გაამაგრეს საკუთარი კარის მისადგომები, ნახევარმცველთა აქტიური თამაშის წყალობით კი მეტოქეს არ მისცეს სწრაფი კონტრშეტევების საშუალება. ამ სიტუაციაში ბაქოელებმა პრესინგს მიმართეს. ცალკეულ ფეხბურთელთა მჭიდრო მეურვეობამ მათ ბევრი ვერაფერი მოუტანა, სამაგიეროდ ბრძოლამ სანახაობრივი თვალსაზრისით აშკარად დაკარგა მიმზიდველობა. ტაიმის ბოლომდე ბურთი ძირითადად მოედნის ცენტრში ტრიალებდა და ეს, უწინარესად, მასპინძლებს აძლევდა ხელს. ბაქოელთა ყველაზე აქტიური ფორვარდი ახმედოვი „ზურგს" მოწყვეტილი აღმოჩნდა და იძულებული გახდა მოედნის სიღრმიდან წამოეწყო იერიშები. დინამოელთა მცველები, რომელთა რიგებში არ იყო ოლიმპიურ ნაკრებში გაწვეული გელა კეტაშვილი, იოლად უმკლავდებოდნენ სტუმართა მოუმზადებელ შეტევებს. ამასობაში, „ნეფთჩის" კართან რამდენიმე სახიფათო მომენტი შეიქმნა.

მაგრამ ჯერ არაფერი გვითქვამს იმ ეპიზოდზე, რომელსაც პირველი გოლი მოჰყვა. მარჯვენა ფრთაზე ეფექტურად ითამაშა ფანცულაიამ, უკან ჩამოიტოვა ორი მცველი და ბურთი საჯარიმო მოედნის ცენტრში ჩამოაწოდა. აქ ყველას — მეკარესაც და მცველებსაც — რევიშვილმა დაასწრო და ბურთი ბაქოელთა კარში აღმოჩნდა. სხვათა შორის, „დინამოს" ახალგაზრდა ნახევარმცველმა ნაყოფიერად ითამაშა მთელი მატჩი, შეთანხმებულად მოქმედებდა პარტნიორებთან, დროულად გადიოდა შეტევის წინა ხაზზე. საერთოდ, „დინამოს" ნახევარმცველთა თამაშში გამოიკვეთა არა მარტო ადგილის სწრაფი მონაცვლეობის, ერთმანეთთან ურთიერთმოქმედების ტენდენცია, არამედ შეტევის ბოლო ფაზაში აქტიური მონაწილეობის სურვილიც. დიდი მოცულობის სამუშაოს შესრულება შეუძლებელია კარგი ფიზიკური მომზადების გარეშე. ეტყობა, „დინამოში" ამ მხრივ მდგომარეობა თანდათან სწორდება. ყოველ შემთხვევაში, ვიზუალურად ასე ჩანს, ეს კარგი ნიშანია... პირველ ტაიმში დაგვამახსოვრდა ჰედიას უძლიერესი დარტყმა, რომელიც ძელმა მოიგერია, აგრეთვე ცაავას გასვლა მეკარესთან პირისპირ, როცა სტუმრებმა აშკარად გადაურჩნენ გოლს.

შესვენების შემდეგ ცაავამ მაინც გააკეთა თავისი საქმე — 17-18 მეტრიდან ულამაზესი გოლი გაიტანა — 2:0. ეს უკვე გამარჯვებას ნიშნავდა, მით უმეტეს, ბაქოელებმა ვერ ააწყვეს კოლექტიური თამაში, ვერ გამოიყენეს მეტოქის დაცვის ცალკეული ხარვეზები. დიახ, შეცდომები, რა თქმა უნდა, იყო. იყო უზუსტო გადაცემები, კვლავ იჩინა თავი ცალკეულ ფეხბურთელთა ინდივიდუალური თამაშით გატაცებამ, პოზიციურმა შეცდომებმა, მაგრამ მთლიანობაში „დინამო" საკმაოდ სოლიდურად გამოიყურებოდა და მატჩის საბოლოო შედეგში, ალბათ, არავის შეჰპარვია ეჭვი. ამას, რა თქმა უნდა, კარგად ხედავენ გულშემატკივრები, რომელთა რიგები მატჩიდან მატჩამდე იზრდება. ესეც კარგი ნიშანია, იმის დასტური, რომ გუნდი ფეხზე დგება და თანდათან იბრუნებს „განაწყენებულ" ქომაგებს.

... ჩემპიონატის ამბები უდაოდ საინტერესოდ ვითარდება. წამყვან პოზიციებზე კვლავ „დნეპრი", კიევის „დინამო" და „სპარტაკი" რჩებიან. ეს შემთხვევითი არ არის; ამ გუნდებს ყოველი ახალი სეზონის წინ არ უხდებათ ყველაფრის თავიდან დაწყება. ისე, როგორც ეს, ვთქვათ, თბილისის „დინამოში" და კიდევ რამდენიმე სხვა კოლექტივში ხდება. იმედი დავიტოვოთ, რომ ჩვენს გუნდში დღეს მიმდინარე პროცესები კიდევ უფრო გაღრმავდება და გამოიკვეთება ის მაგისტრალური გზა, რომელმაც ტრადიციების დაბრუნებამდე უნდა მიგვიყვანოს. ვიყოთ რეალისტები: ცდა კიდევ კარგა ხანს მოგვიწევს, ეს უფრო შორეული მიზნებია. დღეს კი მთავარია გადავწყვიტოთ ლოკალური ამოცანა: მტკიცედ გავმაგრდეთ უმაღლეს ლიგაში.

თბილისის „დინამომ" გუშინწინ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: გაბელია, ცხადაძე, ცვეიბა (თედეევი), ჰედია, არზიანი, რევიშვილი, სვანაძე, სულაქველიძე, ცაავა, ფანცულაია (გურული), გოგიჩაიშვილი.

ახლა სატურნირო ცხრილსაც გადავხედოთ:

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
„დნეპრი"	22	11	10	1	31-15	32
„დინ". კ.	19	11	6	2	28-11	28
„სპარტ".	21	9	9	3	27-17	27
„ტორპ".	20	10	6	4	26-18	26
„ზენიტი"	20	8	7	5	29-24	23
„ჟალგ".	21	8	7	6	27-24	23
„ლოკომ".	19	7	7	5	23-19	21
„ჩერნომ".	21	8	4	9	17-22	20
„მეტალ".	22	6	8	8	22-27	20
„შახტ".	20	6	7	7	19-18	19
„არარატი"	20	6	6	8	13-20	18
„დინ". თბ.	20	7	2	11	22-27	16
„დინ". მ.	21	5	6	10	19-26	16
„დინ". მნ.	20	4	8	8	17-21	16
„ნეფთჩი"	21	4	4	13	19-33	12
„კაირატი"	21	4	3	14	16-33	11

ამ ტურში ყურადღების ცენტრში იყო მოსკოვის „ტორპედოსა" და კიევის „დინამოს" მატჩი. გაიმარჯვეს მოსკოველებმა — 2:0. ეს კიეველთა მეორე მარცხია (პირველად კიევის „დინამო" ოთხი თვის წინ დამარცხდა „სპარტაკთან"). ჩემპიონატის ლიდერმა — დნეპროპეტროვსკის „დნეპრმა" მოუგო ოდესის „ჩერნომორეცს" — 2:1, ალმა-ათის „კაირატმა" — ხარკოვის „მეტალისტს" — 1:0, კაუნასის „ჟალგირისმა" სტუმრად დაამარცხა მინსკის „დინამო" — 1:0, დონეცკის „შახტიორისა" და მოსკოვის „სპარტაკის" მატჩი კი ფრედ (0:0) დამთავრდა.

ე. ბერიშვილი.

სურათზე: მეორე გოლი „ნეფთჩის" კარში.

ვ. ბენზიურის („კომუნისტი") ფოტო.

ნაკრები ემზადება

31 აგვისტოს მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის პირველ მატჩში საბჭოთა ნაკრები რეიკიავიკში შეხვდება ისლანდიის გუნდს. დასკვნით საწვრთნელ შეკრებაზე მიიწვიეს დასაევი, ჩანოვი, ბესონოვი, კუზნეცოვი, ზიგმანტოვიჩი, დემიანენკო, ლიტოვჩენკო, ალეინიკოვი, გოცმანოვი, მიხაილიჩენკო, რაცი, ზავაროვი, ბელანოვი, პროტასოვი და როდიონოვი. მათ რეიკიავიკში შეუერთდება ხიდიატულინი, აგრეთვე დობროვოლსკი, რომელიც ოლიმპიური გუნდის შემადგენლობაშიც გამოდის. ავადმყოფობის გამო მატჩზე ვერ გაემგზავრება ვ. ლობანოვსკი. გუნდს უხელმძღვანელებენ ნ. სიმონიანი, ი. მოროზოვი და ს. მოსიაგინი.

პირველ ლიგაში

პირველი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო პირველობაში მორიგი გამარჯვება მოიპოვეს ლანჩხუთის „გურიამ" და ბათუმის „დინამომ". ლანჩხუთელებმა დაამარცხეს ვოროშილოვგრადის „ზარია" — 1:0, ბათუმელებმა კი ასეთივე ანგარიშით მოუგეს „როსტსელმაშს".

გ. ბ. მეტონიძე

გარდაიცვალა რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი, საპატიო რკინიგზელი, რესპუბლიკ[illegible]

[illegible]

ამხ. მეტონიძე დაიბადა 1904 წელს ამბროლაურის რაიონში, სოფელ ხვანჭკარაში. 1926 წელს დაამთავრა თბილისის პოლიტექნიკური სასწავლებელი, ხოლო 1932 წელს — ამიერკავკასიის რკინიგზის საინჟინრო ინსტიტუტი.

შრომითი საქმიანობა დაიწყო ჯერ კიდევ სასწავლებელში ყოფნის დროს და გაიარა სასახელო გზა სამტრედიის საორთქლმავლო დეპოს ორთქმავლის ოსტატიდან თბილისის განყოფილების უფროსისა და ა/კ რკინიგზის სამმართველოს უფროსის მოადგილემდე.

ამხ. გ. ბ. მეტონიძე მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში, როგორც ქერჩ-ფეოდოსიის რკინიგზის მონაკვეთის ტექნიკური დაზვერვის ჯგუფის უფროსი.

პენსიაზე გასვლამდე იგი ხელმძღვანელობდა გზის ტექნიკურ განყოფილებას, შემდეგ კი მუშაობდა სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის საგზაო ცენტრში.

ამხ. გ. ბ. მეტონიძემ თავისი შრომითი საქმიანობით დაიმსახურა მთავრობის ჯილდოები: ლენინის ორდენი, 2 შრომის წითელი დროშის ორდენი, სამამულო ომის ორდენი, „საპატიო ნიშნის" ორდენი და მედლები, აგრეთვე დაჯილდოებული იყო საპატიო ნიშნით „50 წელი სკკპ რიგებში".

გალაქტიონ ბესარიონის ძე მეტონიძის ხსოვნა დიდხანს დარჩება თანამოსაქმეთა გულებში, ვის გვერდითაც წლების მანძილზე უწევდა შრომა და დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდა, მათი რიცხვი კი საკმაოდ დიდია, ესენი არიან ა/კ ფოლადის მაგისტრალის უფროსი თაობის რკინიგზელები.

ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველო;
თბილისის ლენინის რაიონის პარტიის ვეტერანთა საბჭო.

კურორტი და დამსვენებელი

„გმადლობთ კეთილი მასპინძლობისათვის"

ბორჯომის ხეობა ერთ-ერთი ულამაზესი ადგილთაგანია იმათ შორის, რაც კი საერთოდ მინახავს, წერდა გამოჩენილი რუსი კომპოზიტორი პ. ჩაიკოვსკი.

თავად ბორჯომის ხეობაში კი ულამაზეს ადგილზეა კომპოზიტორთა შემოქმედებითი სახლი, რომელიც პლატოზე მდებარეობს და იხვა ჩაკარგული რცხილნარფიჭვნარში, დამსვენებლებს ხშირად უჭირთ კიდეც უხიერ ტყეში გზის გაგნება.

— გამარჯობათ, როგორ ისვენებთ?

მივესალმეთ ცნობილ ჩეხ კომპოზიტორს, პროფესორ ფილიპ ვაცლავს.

— ბედნიერი ვარ, — გვითხრა კომპოზიტორმა, — რომ საშუალება მომეცა ჩამოვსულიყავი საქართველოში, მეხილა ბორჯომის ხეობის მთელი სიმშვენიერე. კომპოზიტორთა სახლში ჩვენმა მასპინძლებმა შემოქმედებითი მუშაობის კარგი პირობები შეგვიქმნეს. აქ დავამთავრე სონატა ფორტეპიანოსათვის. არასოდეს დაგვავიწყდება ექსკურსია რაჭაში.

კომპოზიტორთა შემოქმედებით სახლში ბევრი ჩვენი ცნობილი ხელოვანი ისვენებს, ვის არ შეხვედრიხართ აქ!

წლეულს, აგვისტოში, კომპოზიტორთა შემოქმედებით სახლს ხუთი წელი შეუსრულდა.

— ამ ხნის მანძილზე, — გვეუბნება შემოქმედებითი სახლის დირექტორი კუკური კალმახელიძე — ორასი ათასმა კაცმა დაისვენა.

ამასწინათ ავსტრიიდან „არალეგალურად", ორიოდე დღით ჩამოფრინდა ჩვენი სახელგანთქმული მომღერალი პაატა ბურჭულაძე (ცოლ-შვილს დავხედე, როგორ ისვენებენ). მეორე დილით პაატას შევხვდით და საუბარიც გაიბა.

— ხვალ, ან ზეგ, — თქვა მან, — ამჯერად მეუღლესთან ერთად ისევ ავსტრიაში გავფრინდები ზალცბურგის ფესტივალზე ოპერა „დონ-ჟუანში" მონაწილეობის მისაღებად, თვის ბოლოს ტოკიოში საგასტროლოდ ჩავა მილანის „ლა სკალა", მე იქ შევუერთდები იტალიელ მომღერლებს — ვერდის ოპერა „ნაბუქოში" შევასრულებ ზაქარიას პარტიას, შემდეგ საფრანგეთში გამოვფრინდები, ქალაქ შანტიიში დაგეგმილია ჩემი ორი სოლო კონცერტი, და ბოლოს ისევ ვენა, „ბორის გოდუნოვი"... თბილისში ოქტომბერში დავბრუნდები.

საინტერესო შემოქმედებითი ცხოვრებით ცხოვრობს კომპოზიტორთა სახლი. ადმინისტრაცია და მომსახურე პერსონალი ზრუნავს იმისთვის, რომ დამსვენებელთა ცხოვრება და ყოფა შინაარსიანი და მრავალფეროვანი გახადოს.

გ. ვაშაკიძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

სურათზე: ბორჯომი, კომპოზიტორთა შემოქმედებითი სახლი.

გ. ბალაშვილის („კომუნისტი") ფოტო.

ქმედითობა

როგორ ვემსახურებით ტურისტს?

„კომუნისტი", 1988 წლის 12 ივლისი

„კომუნისტის" კრიტიკულ გამოსვლას უპასუხებს ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ა. ბურჯანაძე.

გაზეთის მიერ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები სამართლიანია.

საკითხი განვიხილეთ საქართველოს ტურიზმისა და ექსკურსიების საბჭოს კოლეგიისა და პარტბიუროს გაფართოებულ სხდომაზე.

კოლეგიამ და პარტბიურომ არადამაკმაყოფილებლად სცნეს თბილისისა და ქუთაისის ტურისტული სასტუმროების „ვაკის" და „ხვამლის", ყაზბეგის ტურისტული კომპლექსის, ბაზალეთისა და მცხეთის ტურბაზების, აგრეთვე საქართველოს ტურიზმის საბჭოს სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს მუშაობა.

სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების დაგვიანებით და უხარისხოდ ჩატარებისათვის სამმართველოს უფროსს თ. კალანდიას გამოეცხადა სასტიკი საყვედური.

მუშაობაში არსებული ნაკლოვანებებისათვის სასტიკი საყვედური გამოეცხადა აგრეთვე ყაზბეგის ტურისტული კომპლექსის დირექტორს ზ. ტუჩაშვილს, თბილისის ტურისტული სასტუმრო „ვაკის" დირექტორის მოადგილეს ო. დობორჯგინიძეს, ხოლო საყვედური — ქუთაისის ტურისტული სასტუმრო „ხვამლის" დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს ზ. ჩიხლაძეს.

ბაზალეთის ტურბაზის დირექტორი თ. მუშკუდიანი გათავისუფლებულია თანამდებობიდან. თანამდებობიდან განთავისუფლდა აგრეთვე მცხეთის ტურბაზის დირექტორი მ. მაისურაძე.

საბჭოს შესაბამის განყოფილებათა გამგეებს გახსაკუთრებული ყურადღება მიეპყრო მუშაობის სერიოზულ ნაკლოვანებებს, მათვე დაევალათ ქმედითი ზომების მიღება მდგომარეობის გამოსასწორებლად. დაქვემდებარების წესით დისციპლინური სასჯელი დაედოთ ტურისტული დაწესებულებების სხვა მუშაკებსაც. მცხეთის ტურბაზის წარმოების უფროსი ვ. მაისურაძე განთავისუფლებულია თანამდებობიდან. განთავისუფლებულია აგრეთვე სამუშაოდან სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს სამუშაოთა მწარმოებელი ლ. კერესელიძე, ხოლო უბნის უფროსი ო. იკონოვი ჩამოქვეითებულია.

საქართველოს ტურიზმის საბჭომ ქმედითი ღონისძიებანი განახორციელა დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

რედაქტორის მოადგილე
დ. იოსელიანი



საკორესპონდენტო პუნქტები

[illegible]

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380096, [illegible]

ტელევიზია — პარასკევი, 26 აგვისტო

თბილისი

[illegible]

მოსკოვი

[illegible]